საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკური სიფცეკვაა, ფეტიოლებით და ჯიბეებით ბუტთის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 19 ოქტომბერი. 2022 წ. №163 (9501) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

გიენებო, ჩასაფრებულები რომ ხართ და რევანში გწყურიათ...

მარიტა მეფარიშვილის ტრაგედიის ექო

იხ. 3 გვ.

13 წლის მარიტა მეფარიშვილის მოულოდნელი სიკვდილი ჩვენმა ხალხმა საკუთარ ტრაგედიად აღიქვა, ასეულობით ბავშვის სიცოცხლის განადგურება შოუ-ბიზნესიდან მოსულ უკრაინის პრეზიდენტისთვის არის სტატისტიკა (ითვლის მოკლულ ბავშვებს)...

ხელებზე შორს, კახა კალაძისგან!

ამერიკას ევროპის ეკონომიკის დაჩაგვრა-დაჩმორება სურს!

5

4

„რუსეთს ყველა საშუალება აქვს, უკრაინას შეუტიოს ზღვიდან, ხმელეთიდან, ჰაერიდან, უკრაინისთვის „ნაჩუქარი“ საჰაერო თავდაცვის ტექნიკა კი იგვიანებს“

2

მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე: ქართველ ხალხს ადეიშვილის სახელმწიფო მოღვაწის როლში გამოჩენა აღაშფოთებს!

3

უგულავა კორუფციას ებრძვის, ხაზარაძე – მევახშეობას, ჟურნალისტები ეკლესიებზე ლაშქრობენ

10

60 წელი გასულა...

1962 წლის 17 ოქტომბერს ნონა გაფრინდაშვილმა ქართული ჭადრაკის ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონობა იზეიმა

მე-4 ქვეითი ბრიგადა 18 წლისაა

საქართველოს თავდაცვის ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადა 18 წლისაა. ვაზიანში, პირად შემადგენლობას ბრიგადის დაარსების დღე თავდაცვის ძალების აღმოსავლეთის სარდალმა, ბრიგადის გენერალმა როლანდ ძნელაძემ მიულოცა. სამხედრო მოსამსახურეები უწყებრივი მედლებით — „გენერალი კვინიტაძე“, „უმწიკვლო სამსახურისთვის“, „გიორგი ანწუხელიძე“, „გენერალი მაზნიაშვილი“, „სამშობლოსათვის თავდადებული“ და „საბრძოლო იარისთვის“ დაჯილდოვდნენ. „საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სპორტული შეჯიბრიც, სადაც გამარჯვებულ ქვედანაყოფს ბრიგადის გარდამავალი თასი, მედლები და სერტიფიკატები გადაეცა.

სალომე ზურაბიშვილი: ომი დამთავრდება ჩვენი და ევროკავშირის გაერთიანებით

მჯერა, რომ სამივე ქვეყანა, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა, რომლებმაც ერთად მივიღეთ ასოცირება, პეტრას სამიტიდან დავიწყეთ ევროინტეგრაციის უფრო აქტიური ფაზა, ვნახავთ ამ გზის შედეგს, ჩვენი ქვეყნების ევროპულ ინტეგრაციას, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა მოლდოვის პრეზიდენტთან, მაია სანდუსთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„დღეს, უკრაინისა და მისი ხალხის თავდადების, გაუტეხლობის მეშვეობით შეიძლება, ახალი შესაძლებლობების გზაც გახსნა. ევროპამ არა მხოლოდ რუსეთი სხვანაირად დაინახა, სხვანაირად დაინახა ჩვენი ქვეყნები. ის ქვეყნები, რომლებიც ასოცირებით უკვე ევროპისკენ მიისწრაფვიან და დღეს, უკრაინის ომის შემდეგ, უკვე ეს გზა მათთვის ხსნილია. ეს გზა სამივე ქვეყნისთვის არის ევროპული პერსპექტივის გზა. უკრაინისა და მოლდოვისთვის უკვე მინიჭებულია კანდიდატის სტატუსი, რისთვისაც კიდევ ერთხელ მინდა, მივულოცო, ამ შემთხვევაში, მოლდოვას ეს სტატუსი. ჩვენ ვრჩებით ერთი და იმავე პერსპექტივაში და ერთი და იმავე გზაზე მივდივართ. ერთი და იგივე რეფორმები გვაქვს ჩასატარებელი. ჩვენი ცოტა სხვა კალენდარში ჯდება. 12 რეკომენდაციის შესრულების გზით უნდა მივაღწიოთ კანდიდატის სტატუსს. მოლდოვას და უკრაინას აქვთ ასევე თავიანთი რეფორმები ჩასატარებელი.

მე ღრმად მჯერა, რომ სამივე ჩვენი ქვეყანა, რომლებმაც ერთად მივიღეთ ასოცირება, ერთად, ბათუმიდან, პეტრას სამიტიდან ტრიოს ფორმატით დავიწყეთ ეს ევროინტეგრაციის უფრო აქტიური ფაზა, ყველანი ვნახავთ ამ გზის შედეგს, ჩვენი ქვეყნების ევროპულ ინტეგრაციას“, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, **„ომი დამთავრდება უკრაინის გამარჯვებით, უკრაინის რეკონსტრუქციით, ჩვენი და ევროკავშირის გაერთიანებით“.**

„ეს არის ის, რაც სიმბოლურად არის ნიშანი და გზავნილი პრაღის სამიტისა, სადაც პირველად ევროკავშირის წევრები და ევროკავშირის კანდიდატები, თუ პერსპექტივის მქონე ქვეყნები, ყველანი ერთად დასხდნენ ერთი მაგიდის ირგვლივ. ეს არის სიმბოლიკა იმის, რომ ჩვენ ყველანი ვართ ერთი ევროპული ოჯახის წევრი, ეს არის ჩვენი მომავალი და სხვა მომავალი, სხვა პერსპექტივა არც ერთს არ გაგვაჩნია. ამიტომ ჩვენ გვიწევს ერთმანეთისადმი მეტი სოლიდარობა, ამ კუთხით ჩვენი ურთიერთობების გაძლიერება. მეტი სოლიდარობა ასევე ევროკავშირთან და ევროკავშირისა – ჩვენს მიმართ, რადგან ჩვენი მომავალი განუყოფელია. ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება განუყოფელია“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი მოლდოვას რესპუბლიკის პრემიერს ესაუბრა

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი მოლდოვას რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, ნატალია გავრილიცას შეხვდა.

საუბარი შეეხო საქართველოსა და მოლდოვას წინაშე არსებულ გამოწვევებს, უკრაინის ომს და მის გავლენას ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ასევე მოლდოვას პრემიერმა აღნიშნეს, დღეს უმთავრესია უკრაინის მიმართ სოლიდარობა და მათი მხარდაჭერა.

„საქართველო უკრაინისა და მისი ხალხის გვერდით დგას, ასეთ დროს ევროპელი პარტნიორების დახმარება და ერთობლივი პროექტების განხორციელება, რომელიც დღის წესრიგში იდგა, დღეს ერთიორად მნიშვნელოვანია“, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

პრემიერმა პრეზიდენტს მოლდოვაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. საქართველოს პრეზიდენტმა ნატალია გავრილიცა თბილისში ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე მიიწვია, რომელიც 2023 წელს იგეგმება.

ირაკლი ღარიბაშვილი რუმინეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრ ვასილე დინკუს შეხვდა

პრემიერ-მინისტრის პრეს-სამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე საქართველო-რუმინეთის თანამშრომლობა, ნატოსა და ევროკავშირთან ურთიერთობები განიხილეს. მათივე ცნობით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამომავლო კავშირებს თავდაცვის სფეროში. აღინიშნა, რომ ახლახან ხელმოწერილი დეკლარაცია სტრატეგიული პარტნიორობის დამყარების შესახებ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობებს ყველა მიმართულებით ახალ იმპულსს შესძენს.

მთავრობის მეთაურმა რუმინეთს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, აგრეთვე ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებებისადმი მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

ხაზი გაესვა რუმინეთის მნიშვნელოვან კონტრიბუციას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში. აგრეთვე, ყურადღება დაეთმო ისტორიულ გადაწყვეტილებას – საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების შესახებ და ითქვა, რომ ქვეყნის ხელისუფლება მზადაა, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, რათა სწრაფად მიაღწიოს პროგრესს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

საუბარი ასევე შეეხო საქართველოს ნატოში ინტეგრაციას და ხაზი გაესვა რუმინეთის მნიშვნელოვან წვლილს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელებაში. მხარეებმა მიმოიხილეს შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, რუმინეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო თანამშრომლობის დირექტორატის უფროსი ვასილე იონესკუ და რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რეზვან როტუნდუ ესწრებოდნენ.

„ოცნებისთვის“ განსაკუთრებული პრიორიტეტია 12 პუნქტის შესრულება და ევროინტეგრაცია!

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, გენერალური პროკურორის არჩევის წესში ცვლილებებს მმართველი გუნდი მხარს დაუჭერს, რადგან მათთვის ევროინტეგრაცია და 12 პუნქტის შესრულება უმნიშვნელოვანესია.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცვლილებები ეწინააღმდეგება სამართლებრივ და მმართველობის პრინციპებს, აღნიშნული საკითხი მოხვდა ევრორეკომენდაციებში და შესაბამისად, ის მიღებული უნდა იყოს.

„რა კანონპროექტის წარდგენაც მიწევს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება სამართლებრივ პრინციპებს და მმართველობის პრინციპებს. ეს კანონპროექტი თავიდან ბოლომდე გაუმართავია, რაზეც საუბარი შარშან მქონდა. მაშინ ჩვენი ინიციატივით ამოღებული იყო შესაბამისი ტექსტი საკონსტიტუციო ცვლილებებიდან, თუმცა ამის შემდეგ ეს ჩანაწერი მოხვდა ევროკომისიის რეკომენდაციებში. სამწუხაროა, რომ აქ დარღვეულია სამართლებრივი და მმართველობის პრინციპები, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენთვის განსაკუთრებული პრიორიტეტია 12 პუნქტის შესრულება და ევროინტეგრაცია, ამის გათვალისწინებით, ამ კანონპროექტს წარმოვადგენთ და ერთხმად მხარს დავუჭერთ. თუ ვინმე ოპოზიციიდან მხარს არ დაუჭერს, ამ შემთხვევაში, აშკარად იქნება, რომ ეს ადამიანები 12 პუნქტისა და კანდიდატის სტატუსის მიღების წინააღმდეგ მიდიან. თავს ვიმშვიდებთ იმით, რომ ეს წესი გავრცელდება მომდევნო ორი მოწვევის პარლამენტზე. ამ არასწორ წესს გრძელვადიან პერსპექტივაში არ დავტოვებთ, ეს არის ერთადერთი, რითიც თავის დამშვიდება შეგვიძლია“, – განაცხადა კობახიძემ.

ირაკლი კობახიძე: საარჩევნო ბარიერის დაწევის ვალდებულება არ გვაქვს!..

ეს არ არის 12 პუნქტის შემადგენელი ნაწილი, არავითარი ვალდებულება არ არსებობს, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ირაკლი კობახიძემ საარჩევნო ბარიერის დაწევასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

კობახიძის თქმით, პოლარიზაციის შესამცირებლად ოპოზიციის მხრიდან მზაობის შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხს მომავალ ან 2024 წელს განიხილავენ.

მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე: ქართველ ხალხს ადეიშვილის სახელმწიფო მოღვაწის როლში გამოჩენა აღაშფოთებს!

„თუ გაინტერესებთ, რა აღაშფოთებს ბევრ ქართველს ასე, ეს არის იუსტიციის ყოფილი მინისტრი ადეიშვილი სახელმწიფო მოღვაწის როლში. მის თანამდებობაზე ყოფნის დროს მოხდა უამრავი დარღვევა, რამაც 2012 წელს „ნაციონალური მოძრაობის“ განდევნა გამოიწვია, მაგრამ ადეიშვილი წლების განმავლობაში უნგრეთში იმალებოდა ვიქტორ ორბანის კალთების ქვეშ. უკრაინა-საქართველოს განხეთქილებას უფრო ღრმა, არაგეოპოლიტიკური ქვეტექსტი აქვს. ბევრი რიგითი ქართველისთვის, რომელიც ადეიშვილის მსხვერპლია, მისი რეაბილიტაციის ხილვა შოკია“, – წერს Twiter-ში აშშ-ის ჰელსინკის კომისიის უფროსი პოლიტიკური მრჩეველი მაიკლ ჰიკარი ჩეჩირე.

ევროპული საბჭოს ინფორმაციით, უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის თემაზე შეხვედრა გაიმართა, რომელსაც საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი, ზურაბ ადეიშვილიც ესწრებოდა.

ადეიშვილმა პასუხი უნდა აგოს!

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან ქარუმიძე ევროპის საბჭოს მიერ Twiter-ის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას ეხმაურება.

„მსჯავრდებულის და ცნობილი სადისტის მასპინძლობა იმ დაწესებულებაში, რომელიც ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გარანტია, რბილად რომ ვთქვათ შეუფერებელია.

ადეიშვილმა ჯერ პასუხი უნდა აგოს საკუთარ დანაშაულებზე, სანამ სხვის დანაშაულებს გამოიძიებს“, – წერს ქარუმიძე.

ყალბი, მოხორხოცე გიენების გასაგონად!

...თუ ამ შესყიდვაში არის ინტერესთა კონფლიქტი;

კონტრაქტორ კომპანიას აკრძალული ჰქონდა ტენდერში მონაწილეობის მიღება;

ქვეკონტრაქტორ კომპანიას არ ჰქონდა უფლება შეესრულებინა სამუშაო;

ეს არის შესყიდვების სააგენტოს დანაშაული და დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით.

თუ კონტრაქტორმა კომპანიამ შეიძინა უვარგისი, ტესტირება გაუვლელი ელ. მოწყობილობები;

ქვეკონტრაქტორმა კომპანიამ მათი მონტაჟი და სხვა სამუშაოები შეასრულა უხარისხოდ;

(კრიტიკული წერტილებია გაჟონვის რელე და დამიწება) და მომუშავე პერსონალი არ არის სერტიფიცირებული;

ეს არის ორივე კომპანიის დანაშაული და დასჯადია ს/ს კოდექსის შესაბამისი მუხლით.

თუ შესრულებული სამუშაოები შეამოწმა მერიის ან სხვა ლაბორატორიამ და ვერ აღმოაჩინა ხარვეზი;

შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა ჩაატარა სერტიფიცირებულმა ბიურომ და ვერ აღმოაჩინა ხარვეზი;

ეს არის ლაბორატორიის და ექსპერტიზის ბიუროს დანაშაული და დასჯადია ს/ს კოდექსის შესაბამისი მუხლით.

თუ ვაკის პარკის დაცვამ გამოიჩინა გულგრილობა, ვერ აღკვეთა ბავშვების ჩასვლა აუზში და ამან უმძიმესი შედეგი გამოიწვია;

დამნაშავე არის დაცვა და ეს დანაშაულიც დასჯადია ს/ს კოდექსის მუხლით.

ანუ, ყველა ამ სავარაუდო შემთხვევაში სჩანს დამნაშავე და პასუხიც მას უნდა მოეთხოვოს.

პირადად თბილისის მერის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა აქ არ არის.

მათ, ვინც კალაძის გადადგომას ითხოვთ მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, იცით თუ არა, შპს „ეკოსერვის ჯგუფი," სადაც ორი ბავშვის გადამრჩენელი,ვაკის პარკის უფროსი მებაღე დევი მეზურნიშვილი მუშაობს, ეკუთვნის და დამფუძნებელია თბილისის მერია?

აქ, ამ კადრის დანიშვნის შემთხვევაში რას იტყვით კალაძის მორალურ პასუხისმგებლობაზე?

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გაზით გაგუდვის შემთხვევაში მოითხოვეთ თუ არა, პრეზიდენტის გადადგომა?

მიცვალებულების ჯიხურზე შემოდების დროს თუ მოითხოვეთ შს მინისტრის გადადგომა?

და რამდენი ასეთის შემთხვევაში... რა გინდათ თქვათ, მორალური მხარე ხან გაწუხებთ და ხან — არა?

ჩასაფრებული რომ ხართ და რევანში გწყურიათ, ელოდებით როდის რა ტრაგედია მოხდება და გლოვის დროს აქციებს აწყობთ, მაშინ სად არის თქვენი მორალი?

ყალბია თქვენი მორალი, გლოვაც და თვითონაც ყალბები, მოხორხოცე გიენები ხართ!

არავის სასწავლებელი არ სჭირს კალაძეს, ჯერ გამოძიება დამთავრდეს და თვითონ იტყვის სათქმელს.

ლაშა გეგეჭკორი,
ინჟინერი.

უგულავა კორუფციას ებრძვის, ხაზარაძე - მევახშეობას, ჟურნალისტები ეკლესიებზე ლაშქრობენ

...მაგრამ ამ ყველაფრის აპოთეოზი მაინც კეზერაშვილის მიერ საკუთარი თავის საქართველოს ევროპული კურსის მედროშედ გამოცხადება იყო. ცირკი ისაა, რომ ქართულ მედია-პოლიტიკურ შაპიტოს ჯამბაზები სერიოზულ ნომრებს დგამენ კეზერაშვილის ევროპული კურსის ლიდერად წარმოჩენისათვის.



ამერიკაში სერიოზული დაპირისპირებაა ჰომოსექსუალებსა და ტრანს აქტივისტებს შორის.

ბრძოლა პრინციპულ საკითხს ეხება!

ჰომოსექსუალები მოითხოვენ ტრანსგენდერებისგან შეწყვიტონ გოგონა ლესბოსელების დარწმუნება იმაში, ისინი ნატურალი ბიჭები არიან. ტრანაქტივისტები კი აპროტესტებენ ჰომოსექსუალთა პროტესტს და მათ ტრანსფობებს ეძახიან.

ამასობაში ბაიდენი სულ უფრო ხშირად ესაუბრება სახალხოდ აჩრდილებს, ეხვევა და ხელსაც არ თმევს მათ.

არავინ იცის, რაზე საუბრობენ მიღმიერი სულები ბაიდენთან, იმედია, ბირთვულ ომს არ შთააგონებენ.

უკრაინაში კვლავ ჩვენ გვებრძვიან, მაგრამ ჩვენ რა მოსატანი ვართ, როცა ხან გერმანიას წამოარტყამენ თავში და ხან ისრაელს.

აგერ, საწყალი ილონ მასკი, მადლობის ნაცვლად, პუტინის აგენტად გამოაცხადეს.

ამასთან უკრაინის უშიშროების შეფმა სრული სერიოზულობით გამოაცხადა, რომ პუტინი ოთხია.

თითქოს ერთი პუტინი არ იყოს საკმარისი.

თვითონ პუტინი საოცრად აწვალებს რუს პროპაგანდისტებს, რომლებიც, ჩვენი სიკეთისა არ იყოს, მისი გაპრავებით დაიტანჯნენ.

ასე მაგალითად, როგორ გინდა გააპრავო, ის, რომ თავდაცვის მინისტრი შოიგუ საერთოდ არ არის სამხედრო, ისევე, როგორც მისი რვა მოადგილე ათიდან.

საქართველო ამ საგიჟეთს სანაქებოდ უწყობს ფეხს.

უგულავა კორუფციას ებრძვის. ხაზარაძე მევახშეობას. ჟურნალისტები ეკლესიებზე ლაშქრობენ.

დემნა გვასალია თბილისის საპატიო მოქალაქეა, საოცარი ისაა, რომ ეს სტატუსი მას მიანიჭეს იმ ადამიანებთან ერთად, ვისი დახოცვის შემთხვევაშიც აპირებს თბილისში ჩამოსვლას.

საოცრებები ხდება ტიკ-ტოკის ქართულ სეგმენტში, სადაც საკუთარი თავის წარმოჩენის დაუოკებელმა წყურვილმა უხამსი, ეგზოტიკური, ასაკთან და გარეგნობასთან შეუსაბამო ფორმები მიიღო.

შეიძლება შემოვიღოთ ახალი ტერმინიც — გამოტიკტოკება.

მოკლედ, ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის.

მაგრამ ამ ყველაფრის აპოთეოზი მაინც კეზერაშვილის მიერ საკუთარი თავის საქართველოს ევროპული კურსის მედროშედ გამოცხადება იყო.

ცირკი ისაა, რომ ქართულ მედია-პოლიტიკურ შაპიტოს ჯამბაზები სერიოზულ ნომრებს დგამენ კეზერაშვილის ევროპული კურსის ლიდერად წარმოჩენისათვის. მგონი, გვეჩვენება ეს ყველაფერი.

ასეთი რამ არ შეიძლება რეალობაში ხდებოდეს.

სოსო მანჯავიძე

დასკვნა მკითხველისთვის მიგვინდვია

„აგია ევროფასეულობები?"

XIX საუკუნეში მოღვაწე ილია ჭავჭავაძემ თავის მოთხრობაში გლეხი კაცი პეტრე ორი ახალგაზრდის დასჯაში დაადანაშაულა. იმ დროს მოთხრობის პოპულარობა ნათლად მეტყველებს, რომ ზნეობა, ადამიანობა, ჰუმანურობა მაღალ დონეზე იყო აყვანილი.

XXI საუკუნეში მოღვაწე სახელმწიფოთა მეთაურები, სხვადასხვა კალიბრის პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწენი არა თუ არ მოითხოვენ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შეწყვეტას, არამედ ერთ მხარეს აიარაღებენ კიდევაც და მოუწოდებენ უკრაინის პრეზიდენტს ბოლომდე, „გამარჯვებამდე" იბრძოლოს.

აქ რაიმე ზნეობაზე, ადამიანობაზე, ჰუმანიზმზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება.

როგორი დამნაშავეც არ უნდა იყოს ერთი მხარე, ამ ეპოქაში, როცა არსებობს გაერო, ნატო ევროგაერთიანებები და სხვა, როგორ არ უნდა მიაღწიონ საომარი მოქმედებების შეწყვეტას?

„უშიშარ" ევროგაერთიანებებს მოსალოდნელი ატომური ომის საფრთხეც არ აშინებთ.

მკითხველთან ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ არ შემიძლია არ ვკითხო მათ: „აგია თქვენი ევროფასეულობები"? ამ ფასეულობების" გამო მივდივართ ევროპისაკენ?

იმ „ავადსახსენებელი" საბჭოთა კავშირის დროს, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა მომხდარიყო ასეთი ხოცვა-ჟლეტა, ფაბრიკა-ქარხნებში, უმაღლეს სასწავლებლებში და სხვაგან იმართებოდა მრავალრიცხოვანი კრებები, მანიფესტაციები, სადაც იყო მკაცრი მოთხოვნა, შეეწყვიტათ ომი.

13 წლის მარიტა მეფარიშვილის მოულოდნელი სიკვდილი ჩვენმა ხალხმა საკუთარ ტრაგედიად აღიქვა, ასეულობით ბავშვის სიცოცხლის განადგურება შოუ-ბიზნესიდან მოსულ უკრაინის პრეზიდენტისთვის არის სტატისტიკა (ითვლის მოკლულ ბავშვებს).

დასკვნები მკითხველმა გამოიტანოს.

ნუგზარ კობახიძე.

რუსეთის სამხედრო აგრესიას უკვე 400-ზე მეტი ბავშვი ემსხვერპლა

18 ოქტომბრის დილის მდგომარეობით, უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებული სრულმასშტაბიანი შეიარაღებული აგრესიის შედეგად, 425 ბავშვი დაილუპა, 815-ზე მეტმა კი სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო, — ინფორმაციას უკრაინის გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, ეს მონაცემები არ არის საბოლოო, რადგან ჯერ კიდევ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა დროებით ოკუპირებული და გათავისუფლებული ტერიტორიებიდან მიღებული ცნობების გადასამოწმებლად.

რუსულმა აგრესიამ ყველაზე მეტად დონეცკის, ხარკოვის, კიევის, ნიკოლაევის, ზაპოროჟიესა და ლუგანსკის რეგიონებში მცხოვრები ბავშვები დააზარალა.

ამირან სალუქვაძე:

უკრაინა რინგზე ერთი ხელით იბრძვის!

„რუსეთს ყველა საშუალება აქვს, უკრაინას შეუტიოს ზღვიდან, ხმელეთიდან, ჰაერიდან, უკრაინისთვის „ნაჩუქარი“ საჰაერო თავდაცვის ტექნიკა კი იგვიანებს“

„პრივის რინგი რომ წარმოვიდგინოთ, როცა ერთი სპორტსმენი ორივე ხელით ჩხუბობს და მეორე სპორტსმენი – ერთი ხელით. დაახლოებით ეს მდგომარეობაა დღეს რუსეთ-უკრაინის ფრონტზე. რუსეთს ყველა საშუალება აქვს, შეუტიოს უკრაინას ზღვიდან, ხმელეთიდან, ჰაერიდან. უკრაინას აქვს მხოლოდ ის კომპონენტები, რათა ხმელეთზე იომოს არტილერიის და ქვეითთა მეშვეობით, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს უკრაინას. ამიტომ მეტი დახმარებაა დასავლეთის მხრიდან საჭირო“, – აცხადებს ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე.

– უკრაინის ქალაქებზე საჰაერო იერიშის მიტანა ხომ არ ნიშნავს, რომ აღსრულდა მედვედევის ნათქვამი, რომელმაც იწინასწარმეტყველა, რომ უკრაინელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაქრება, თუკი უკრაინა ბრძოლას არ შეწყვეტს? რა ეტაპზე გადადის პუტინი და მედვედევის მიერ გახმოვანებული მუქარა მართლაც რეალისტურია თუ არა?

– მედვედევის მუქარა, რომელიც საჰაერო იერიშებამდე გახმოვანდა, მეტყველებს იმაზე, რომ ეს იერიში უკვე დაგეგმილი ჰქონდა რუსეთს. მედვედევი, როგორც უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, საქმის კურსში იქნებოდა რუსეთის გეგმებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მართალი ბრძანდებით, მედვედევმა გაახმოვანა მუქარა, რადგან აქ უფრო პუტინის გეგმებთან გვაქვს საქმე. ამ საჰაერო იერიშების სამიზნე მხოლოდ უკრაინა არ არის, სამიზნეა დასავლეთიც. იმ შედეგებით, რაც მოჰყვა სარაკეტო დაბომბვებს, დაზიანდა ევროპაც, რადგან უკრაინა ახორციელებდა ელექტროენერგიის ექსპორტს რამდენიმე ქვეყანაში და დაბომბვების გამო ექსპორტი შეწყვიტა, რადგან უკვე შიგნით აქვს პრობლემები. საომარი მოქმედებების შედეგებზე თუ ვისაუბრებთ, პირველ რიგში, სარაკეტო იერიშის შედეგებიც კარგად უნდა გავიაზროთ. ჯერ ჩვენ მწირი ინფორმაცია გვაქვს, ვიცით, რომ რუსეთის მხრიდან სადღაც 150 რაკეტამდე იქნა გაშვებული ორი დღის განმავლობაში და ძირითადი სამიზნეები იყო ენერგოობიექტები, თბოელექტროსადგურები, ქვესადგურები, ოღონდ ამ ქვესადგურებს გარკვეული სიმძლავრის მიხედვით არჩევდნენ. როგორც ჩანს, უფრო მძლავრ ქვესადგურებს არ შეხებიან. გამოქვეყნდა კიდეც სია ამ ენერგოობიექტების. ასევე, მთავარი სამიზნე იყო სარკინიგზო კვანძები, რათა შეაფერხონ სარკინიგზო გადაზიდვები და საკომუნიკაციო ცენტრები. ეს სამი მიმართულება იყო ძირითადი.

– რა გავლენას იქონიებს საჰაერო დაბომბვები ბრძოლის ბედზე?

– ვიცით, რომ ძირითადი ლოჯისტიკა, საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფა უკრაინის დიდი ტერიტორიიდან გამომდინარე, მეტწილად იყო რკინიგზაზე, საიდანაც ხორციელდება ევროპიდან საკმაოდ სერიოზული დახმარებები. დღეს უკვე ყველა ხედავს ვიდეოჩანაწერებიდან და სხვადასხვა მონაცემებიდან, რაც ღია წყაროებიდან ვრცელდება, რომ, ფაქტობრივად, უკრაინა თითქმის მთლიანად დასავლური შეიარაღებით ომობს, რადგან შიდა რესურსები ამოიწურა. სწორედ რკინიგზის საშუალებით ხდება ტექნიკისა და შეიარაღების მიღება დასავლეთიდან უკრაინამდე, შემდეგ უკვე უკრაინაშიც ხდება მთელი ამ შეიარაღების, საწვავის, საკვების და სხვა მარაგების გადაზიდვა და ჯარებამდე მიტანა. ამდენად, რკინიგზის შეფერხება სერიოზულ გავლენას იქონიებს საომარ მოქმედებებზე. მყისიერად არა, მაგრამ თუ გაგრძელდა შეფერხებები, რა თქმა უნდა, გავლენას იქონიებს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწრაფად მოხდება მიყენებული ზარალის აღდგენა, სარკინიგზო კვანძების, მათ შორის, რელსების აღდგენა. ეს შედეგები უნდა შეფასდეს, რომ ვიცოდეთ, რამდენად მოახდენს გავლენას უკრაინის საომარ მოქმედებაზე. აღნიშნული საომარი მოქმედებები არ წყვეტს მხოლოდ სამხედრო მიზნებს, არ უნდა შევხედოთ ისე, რომ რომელიღაც სარდლის დონეზე წარიმართება მოვლენები, უნდა შევხედოთ ისე, რუსეთის ამჟამინდელ ლიდერს რა გეგმები აქვს და დროში როგორ აქვს გაწერილი. ამიტომაც ვთქვი, რომ უკრაინის ენერგოობიექტების დაზიანება მხოლოდ უკრაინის წინააღმდეგ არ იყო მიმართული, ეს იყო ევროპის წინააღმდეგ, რადგან რამდენიმე ქვეყანას დააკლდება ელექტროენერგია, რასაც უკრაინა იღებდა, ამას დასჭირდება შევსება. რომ შეავსო, ევროპის ენერგობაზარზე უნდა არსებობდეს ზედმეტი ელექტროენერგია და იქიდან უნდა შეიძინო. თუ არადა, სხვა ენერგომატარებლებით უნდა მოხდეს ამის კომპენსირება, ანუ მეტი გაზი, მეტი ნახშირი დასჭირდება. გაზთან დაკავშირებით ვიცით, რაც ხდება ევროპაში რუსულ გაზზე უარის თქმის გამო. ამით პუტინმა მცირედი პრობლემა შეუქმნა ევროპას, მცირე პრობლემა დაუმატა ზამთრის შეტევის წინ. ეს შეტევები აგვისტოში კი არ განახორციელა, არამედ ოქტომბრის დასაწყისში, როცა უკვე უკრაინაშიც ცივა და ევროპის ბევრ ქვეყანაშიც.

– უკრაინის ენერგოობიექტებზე დარტყმით პუტინმა კომფორტს მიჩვეულ ევროპელებს მიანიშნა, რომ ზამთარში უარესს უნდა ელოდნენ?

– დიახ, მაგრამ ევროპას უკვე მეტს ვერაფერს გაუკეთებს. ჰქონდა პატარა ბერკეტი, რომ უკრაინიდან ელექტროენერგიის ექსპორტი ვერ მიეღო დასავლეთს და ეს გაუკეთა კიდეც სეზონის ამ მონაკვეთში, როცა აცივდა. რა თქმა უნდა, უკრაინა დაიწყებს ამ ობიექტების მწყობრში მოყვანას, თუკი ეს შესაძლებელია. თუკი ჰესებთან სატრანსფორმატორო მეურნეობები მთლიანად დაბომბილია, განადგურებულია, მისი აღდგენა საკმაოდ რთული იქნება. ზოგი ობიექტი აღდგება, ზოგი ვერ აღდგება, არც ისაა გამორიცხული, რუსეთმა გააგრძელოს ეს იერიშები. სადღაც ორი კვირის განმავლობაში რუსებს დაემატებათ მობილიზებულები, ვარაუდობენ 200-300 ათას რეზერვისტს.

– პუტინი ცდილობს, ამ ომში ჩართოს ბელარუსი, მიუხედავად იმისა, რომ ლუკაშენკო ირწმუნება, უკრაინელებთან, ანუ ერთი გუმბათის ქვეშ მონათლულ ძმებთან, დაპირისპირებას არ აპირებს. შეძლებს ამ მიზნის მიღწევას?

– ჯერჯერობით რიტორიკის დონეზე დაძაბულობა იქმნება ბელარუს-უკრაინის საზღვარზე, თითქოს ახალი რუსულ-ბელარუსული დაჯგუფებაც იქმნება, გამორიცხული არ არის, იმისთვის, რომ უკრაინას ძალები გაუფანტოს, ჩრდილოეთიდანაც მოხდეს შეჭრა, არა მგონია, ისევ კიევამდე გადაწყვიტონ შეჭრა, რადგან პირველი შეტევა რუსეთისთვის საკმაოდ მძიმე შედეგებით დასრულდა. არ ვიცი, უკრაინას რა რესურსები აქვს, ორ ფრონტზე გაუმკლავდეს რუსეთს პუტინის მიერ გამოცხადებული მობილიზების შემდეგ, მაგრამ დასავლეთმა, უკრაინის პარტნიორებმა, ალბათ, ეს ყველაფერი გაიაზრეს, გააანალიზეს და, სავარაუდოდ, დახმარებები დროული იქნება. ყოველ შემთხვევაში, საჰაერო თავდაცვის ტექნიკა, რასაც უკრაინის პრეზიდენტი ითხოვს, იგვიანებს. რაც ვნახე ფოტო-ვიდეომასალები, რისი გადაადგილებაც ხდება, ჯერჯერობით ამ კომპლექსების რაოდენობა ცოტა ჩანს. ღმერთმა ქნას, დიდი რაოდენობით მიაწოდონ უკრაინას დახმარება. პლუს, უკრაინელებს დასჭირდებათ ძალიან დიდი რაოდენობით რაკეტები ამ კომპლექსებზე, რადგან ასეთი შეტევების დროს დიდი რაოდენობით იხარჯება რაკეტები.

– ხომ არ დადგა დრო, უკრაინას უკვე შეტევითი იარაღი გადასცეს დასავლეთმა და არა მხოლოდ თავდაცვითი?

– შეტევით იარაღს რაც შეეხება, ამას მხოლოდ უკრაინა ვერ წყვეტს, უკრაინა ითხოვს ამ იარაღს, უკრაინა პარტნიორებს უთანხმებს იერიშების მიტანას რუსეთის კუთვნილ ტერიტორიაზე და არა რუსეთის მიერ მიტაცებულ, ანექსირებულ ტერიტორიაზე. დასავლეთმა უნდა გაბედოს და მიაწოდოს ეს შეიარაღება უკრაინას. ეს საშუალებები რომც ჰქონდეს, პრეზიდენტი ზელენსკი მარტო ვერ მიიღებს რუსეთის ტერიტორიაზე იერიშის მიტანის გადაწყვეტილებას. ხომ ვნახეთ, ყირიმის ხიდზე მიტანილ იქნა შეტევა, დაზიანდა ხიდი, ოფიციალური კიევი ამ აფეთქებას ოფიციალურად არ აღიარებს, მიუხედავად პოსტებისა, განცხადებებისა გარკვეული ჩინოვნიკების მხრიდან, ოფიციალური აღიარება არ მომხდარა. არ გამოვრიცხავ, რუსეთს თავად აეფეთქებინოს ყირიმის ხიდი. ორი დღის შემდეგ პუტინმა დადგა ვიდეო-სპექტაკლი, როგორც იცის ხოლმე, საჯაროდ მოახსენა ბასტრიკინმა, რომ ადგილი ჰქონდა ტერორისტულ აქტს და მეორე დღესვე პუტინმა განახორციელა საჰაერო იერიში, ანუ ჩვეული სტილით გეგმავს ამ ყველაფერს და საჯაროდ ატრიალებს ამ თემას, რაც სხვა კითხვებსაც ბადებს. ფაქტია, რომ თუ უკრაინა რუსეთის სიღრმეში მიიტანს დარტყმებს და არა ჯარებზე, რომლებიც უკრაინაში საომარი მოქმედებების რაიონშია, დიდი ალბათობით, რუსეთის მხრიდანაც ანალოგიურ პასუხს მიიღებს, შესაძლოა, უფრო მძლავრ პასუხსაც. ამის საპასუხოდ უკრაინას ჯერჯერობით სუსტი რესურსები აქვს, ვგულისხმობ საჰაერო თავდაცვას. კრივის რინგი რომ წარმოვიდგინოთ, როცა ერთი სპორტსმენი ორი ხელით ჩხუბობს და მეორე სპორტსმენი ერთი ხელით. დაახლოებით ეს მდგომარეობაა დღეს რუსეთ-უკრაინას შორის, რუსეთს ყველა საშუალება აქვს, შეუტიოს უკრაინას ზღვიდან, ხმელეთიდან, ჰაერიდან, უკრაინას აქვს მხოლოდ ის კომპონენტები, რათა ხმელეთზე იომოს არტილერიის და ქვეითების მეშვეობით, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს. ამიტომ მეტი ჩართულობა და დახმარებაა დასავლეთის მხრიდან საჭირო, თუკი საბოლოო მიზანი არის ის, რაც გაცხადებული აქვთ.

მანანა ნოზაძე

კიევი კვლავ იბომბება

რუსეთის ძალებმა კიევის ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე მორიგი იერიში მიიტანეს. როგორც უკრაინული მედია წერს, კიევში აფეთქების ხმა გუშინ, დილის ცხრა საათზე გაისმა. ზოგიერთ რაიონში ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა. მანამდე ქალაქში საჰაერო განგაშის სირენების ხმა ისმოდა.

როგორც უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე კირილ ტიმოშენკო აღნიშნავს, ქალაქის მარცხენა სანაპიროზე ენერგომომარაგების ობიექტზე სავარაუდოდ, სამი დარტყმა განხორციელდა.

ამასთან, აფეთქებების ხმა ისმის კიევის ოლქის ქალაქ ბროვარიში, სადაც საჰაერო თავდაცვის სისტემა მუშაობს.

ტყვეობიდან 108 ქალი გათავისუფლდა

„ტყვეების მორიგი მასშტაბური გაცვლა შედგა. ეს განსაკუთრებით ემოციური იყო. ტყვეობიდან გავათავისუფლეთ 108 ქალი. ეს იყო ქალების პირველი გაცვლა. ტყვეობაში იყვნენ დედები, რომლებსაც შვილები ძალიან ელოდნენ“, – განაცხადა უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ანდრეი ერმაკმა.

ამერიკას ევროპის ეკონომიკის დაჩაგვრა-დაჩმორება სურს!

„როგორი უნდა იყოს ახალი ევროპა, ურთიერთობა აშშ-თან, როგორი უნდა იყოს „აგრესიული დათვი“ და ჩინეთი, ახალი ხედვა არავის არ აქვს“...

აშშ უკრაინას 725 მილიონი დოლარის სამხედრო დახმარების ახალ პაკეტს გამოუყოფს, რომელიც საბრძოლო მასალასა და სატრანსპორტო საშუალებებს შეიცავს. სამხედრო დახმარების ახალი პაკეტი არ მოიცავს მნიშვნელოვან ახალ შესაძლებლობებს ან საჰაერო თავდაცვის სისტემებს. რუსეთის უკრაინაში შეჭრიდან დღემდე აშშ-მა უკრაინას უსაფრთხოების სფეროში 16.8 მილიარდი დოლარის დახმარება გამოუყო.

უკრაინის დაფინანსების კონკრეტულ გეგმას უახლოეს კვირებში წარადგენს ევროკომისია. ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი **ვალდის დომბროვსკისის** თქმით, ევროკავშირი მჭიდროდ თანამშრომლობს საფინანსო დაწესებულებებთან, რათა უკრაინამ პროგნოზირებადი დაფინანსება მიიღოს. დომბროვსკისმა ასევე აღნიშნა, რომ ომის ფასი რუსეთის მხრიდან აგრესიის ესკალაციასთან ერთად იზრდება.

„შესაბამისად, უკრაინის საფინანსო საჭიროებებიც იზრდება. ჩვენ დაფინანსების უფრო სტრატეგიული შეღავათიანი გეგმა უნდა განვიხილოთ, რათა უზრუნველყოთ უკრაინის ეკონომიკური სტაბილურობა. G7-ის წევრები გვეხმარებიან უკრაინის მხარდაჭერაში, ახლა სხვებიც უნდა გააქტიურდნენ“, — აცხადებს ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი.

საინტერესო განცხადება გააკეთა საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა, რომლის განცხადებით, უკრაინაში კონფლიქტმა შედეგად არ უნდა გამოიღოს ამერიკის ეკონომიკის დომინანტობა და ევროკავშირის დასუსტება. ბრუნელე მერის განცხადებას პარლამენტის ტელეარხი ავრცელებს.

„კონფლიქტმა უკრაინაში შედეგად არ უნდა გამოიღოს ამერიკის ეკონომიკის დომინანტობა და ევროკავშირის დასუსტება. ჩვენ ვერ მივიღებთ, რომ ჩვენი ამერიკელი პარტნიორი ყიდის თავის გათხევადებულ გაზს ოთხჯერ ძვირად იმ ფასზე, რომლითაც მას თავის მწარმოებლებზე ყიდის.

მზარდი ფასებისგან მოქალაქეების დასაცავად საფრანგეთი 2021-2023 წლებში ჯამში 100 მილიარდ ევროს დახარჯავს. ჩვენი პრიორიტეტი საფრანგეთის ენერგორესურსებისა და სურსათის მზარდი ფასისგან დაცვაა“, — აღნიშნა ეროვნულ ასამბლეაში გამოსვლისას საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა.

საფრანგეთის მსგავსად აშშ-ის ხელძღვანელობას აკრიტიკებს უნგრეთი. პრემიერ-მინისტრი, **ვიქტორ ორბანი** აცხადებს, რომ **დონალდ ტრამპი** ერთადერთია, ვისაც უკრაინაში ომის დასრულება შეუძლია. მისი თქმით, **ანგელა მერკელი** რომ კანცლერი იყოს, ომი არ დაიწყებოდა. უნგრეთის მთავრობის ხელმძღვანელის თქმით, აშშ-ის პრეზიდენტი, **ჯო ბაიდენი** ძალიან შორს წავიდა, როდესაც რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს სამხედრო დამნაშავე უწოდა.

უნგრეთის მთავრობის ხელმძღვანელმა მიანიშნა, რომ აშშ გახდა ომის მხარე კიევისთვის ფულის, იარაღის მიწოდებით და ომი გაგრძელდება იქამდე, ვიდრე უკრაინა გაგრძელებს ამერიკის მხარდაჭერის მიღებას. ორბანის განცხადებით, ომის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ რუსეთსა და აშშ-ს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების გზით, ვიდრე რუსეთსა და უკრაინას შორის. მისი თქმით, მხოლოდ ამერიკელებს შეუძლიათ ამ ომის დასრულება.

პროცესები რომ ევროპის სასარგებლოდ არ მიმდინარეობს და ეს დიდი ხნის ჩანაფიქრია, ამის შესახებ საუბრობს პოლიტოლოგი, საერთაშორისო მკვლევარი **თამარ კიკნაძე,** რომლის განცხადებით, ბრექსიტის შემდეგ გასაგები იყო, რომ მთელი რიგი ცვლილება იქნებოდა ევროპის პოლიტიკურ არქიტექტურაში და პირველ რიგში, დგას გერმანიის საკითხი, რომლის განეიტრალების საკითხი არის მთავარი დღის წესრიგი. მისი თქმით, ევროპის დასუსტების ხარჯზე ამერიკელები დიდ კომპანიებს იწვევენ ამერიკაში და ხელსაყრელ პირობებს სთავაზობენ.

„მარშალის გეგმის შემდეგ ევროპა მეტწილად დამოკიდებულია ამერიკაზე ეკონომიკურადაც, ტექნოლოგიურადაც და გარდა ამისა — სამხედრო თვალსაზრისითაც. ეკონომიკური მდგომარეობა დასავლეთში არ არის კარგი. ახლა ამ გაზსადენის თემით და რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვით არა მხოლოდ რუსეთი ზარალობს, არამედ ზარალობს ევროპა. ამიტომ, ეს დასკვნები უნდა გამოიტანონ, მით უფრო, რომ ევროპელები არ მოითმენენ დაბალ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს, მიჩვეულები არიან კომფორტს. ზამთარი მოდის და ადამიანები თავიანთ ხელისუფლებებს მოსთხოვენ პასუხს, იმ მდგომარეობის გამო, რაც არსებობს. დღეს თუ უკრაინის დაფინანსება, პოლიტიკური თვალსაზრისით, არის მათ დღის წესრიგში, შეიძლება ეს დამოკიდებულება შეიცვალოს და ამას ადასტურებს საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრი“, — აცხადებს **თამარ კიკნაძე.**

* * *

პოლიტოლოგ **სოსო მანჯავიძის** განცხადებით, დღეს გეოპოლიტიკური რეალობა ასეთია, რომ ნებისმიერი სუპერ გაერთიანება, ამ შემთხვევაში აშშ იქნება, ჩინეთი, თუ ევროკავშირი, არის ერთმანეთის კონკურენტი. მისი თქმით, გეოპოლიტიკური მდგომარეობა შევიდა არასტაბილურობის ფაზაში და დაიწყო დიდი გადანაწილების პროცესი.

„რა თქმა უნდა, აშშ რომელიც ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მსოფლიო სარეზერვო ვალუტა იბეჭდება, ცდილობს რამენაირად შეინარჩუნოს ის მდგომარეობა, რომელიც დღეს აქვს. ამის შენარჩუნების ერთ-ერთი მეთოდი არის კონკურენტი ევროკავშირის ეკონომიკის დასუსტება, კაპიტალების და ადამიანური რესურსის გადადინება აშშ-ში, რასაც ევროპის მიმართულებით უკვე მოჰყვა შედეგები. დიდი კომპანიები გადიან ევროპიდან, მათ შორის არიან ავტოგიგანტები.

ამან შეიძლება გამოიწვიოს დომინოს ეფექტი იმიტომ, რომ ევროკავშირის მრეწველობის და ეკონომიკის ლოკომოტივი არის გერმანია. გერმანულ ეკონომიკაში ამ ტიპის კრიზისი და დახურვა ასეთი გიგანტური საწარმოების, გამოიწვევს უმუშევრობას, სოციალურ დაძაბულობას, რაც გადაედება მთელს ევროკავშირს იმასთან ერთად, რაც ხდება ევროპის აღმოსავლეთით. რა თქმა უნდა, პარალელურად, სხვა ღონისძიების გატარება ხდება გერმანიის მიმართ. კერძოდ, იგულისხმება პოლონეთის მიერ გერმანიისთვის წაყენებული ტრილიონ სამასმილიარდიანი პრეტენზია. ასევე, პოლონეთის მილიტარიზაცია, რომლის ერთი მახვილი მიმართულია გერმანიისკენ და მეორე რუსეთისკენ. პოლონეთი სამხედრო თვალსაზრისით ხდება ერთგვარი სუპერ სახელმწიფო, ვინაიდან ის გაძლიერებული ტემპებით მილიტარიზდება“, — აცხადებს სოსო მანჯავიძე.

რაც შეეხება ევროკავშირის ასეთ დეინდუსტრიალიზაციას, პოლიტოლოგის განცხადებით, ეს გამოიწვევს მისი მსყიდველობითი უნარის შემცირებას და ევროკავშირის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის, ჩინეთის საექსპორტო ბაზრის შემცირება მტკივნეული იქნება ჩინური ეკონომიკისთვის, რაც ამერიკელებს მისცემს საშუალებას, რომ გარკვეული თავისთვის მისაღები და სასურველი ღონისძიებები გაატაროს.

„აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრის ეს განცხადება ამ პროცესების გაცნობიერების შედეგად გაკეთდა და ამაში ახალი არაფერი არ არის“...

* * *

ანალიტიკოს **ვაჟა ბერიძის** შეფასებით, მართებულია საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრის მოლოდინი, რადგან მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში იხეირებს აშშ და მისი ეკონომიკა, მაგრამ მეორე მხრივ, შესაძლოა, აშშ არ ფიქრობდა მოვლენების განვითარების ასეთ შედეგებზე.

„ყველაფერი მიზეზ-შედეგობრივი კავშირით უნდა განვიხილოთ. ის მოცემულობა, რაც არსებობდა რუსეთ-უკრაინის ომამდე, ბუნებრივია, შეიცვლება. იმ მოცემულობაში აშშ არის თავისუფალი სამყაროს ლიდერი, ხოლო ევროპა არის მისი მოკავშირე. ამიტომ ეს უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი შედეგი მოვლენების განვითარებისა, რომელშიც მთავარი დამნაშავე, რა კუთხითაც არ უნდა მივუდგეთ, არის პუტინი და რუსეთი. ეს არის რუსეთის და პუტინის ომი. თუ ჩვენ გავმიჯნავთ რუსეთს და პუტინს, ამან შეიძლება მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანოს. პუტინი და რუსეთი არის ერთი, ის გამოხატავს უმრავლესობის ინტერესებს. როგორც დასავლეთში უყვართ თქმა, ამ პროვოცირებული ომის შედეგად ნებისმიერ შემთხვევაში გამარჯვებული გამოდის აშშ. ის იქნება წარმატებული და უმეტესი ბენეფიტების მიმღები“, — ამბობს ბერიძე.

ამ ომით აშშ-მა და კერძოდ, სამხედრო სამრეწველო კომპლექსმა უზარმაზარი შემოსავლები და მოგება მიიღო. როგორც ბერიძე ამბობს, რა თქმა უნდა, წააგებს ევროპა და რა თქმა უნდა, მძიმე შედეგები დადგება რუსეთის ეკონომიკისთვის, ის ჩაიკეტება და აღმოსავლეთისკენ შებრუნდება.

„მიმდინარე მოვლენები სერიოზული საფრთხეა ჩინეთის ეკონომიკისთვის. რთული ვითარებაა და ეს ყველაფერი მიბმულია იმაზე, რასაც საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრი ბრძანებს. ბუნებრივია, საფუძველი საფრანგეთის ეკონომიკის მინისტრს ასეთი განცხადების აქვს, მაგრამ როგორი უნდა იყოს ახალი ევროპა, როგორი უნდა იყოს ურთიერთობა აშშ-თან, როგორი უნდა იყოს აგრესიული დათვი აღმოსავლეთში და ჩინეთი, რომლის მაღალტექნოლოგია და ძვირი პროდუქცია ევროპისთვის და აშშ-ისთვის არის გათვლილი, რეალური, ახალი ხედვა არავის არ აქვს. ამიტომ, დღეს, ამ ომის კონტექსტში ევროპა არის ყველაზე ცუდ მდგომარეობაში“, — აცხადებს ვაჟა ბერიძე.

თამთა ქარჩავა

კანადური სანქციები რუსეთს

კანადამ რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები დააწესა. — „შავ სიაში“ ერთი იურიდიული და 34 ფიზიკური პირი მოხვდა, რომლებსაც კანადის მთავრობის აზრით, კავშირი აქვთ უკრაინაში კრემლის ომის შესახებ რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებასთან.

როგორც კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის, მელანი ჯოლის განცხადებაშია აღნიშნული, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი წლების განმავლობაში მიისწრაფოდა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისკენ მედიისა და მარიონეტების გამოყენებით, რომლებიც იმეორებენ პუტინის ანტიისტორიულ თეზისებს და ცრუ სამართლებრივ პრეტენზიებს. კანადამ სანქციები დაუწესა რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწეს ვლადიმირ მედინსკის, ასევე მსახიობებს სერგეი ბეზრუკოვს, ვლადიმირ მაშკოვს, დმიტრი პევცოვს. კანადის „შავ სიაში“ მოხვდა თინა კანდელაკი, რომელიც ამჟამად ტელეკომპანია „ტენტეს“ დირექტორის მოვალეობებს ასრულებს, ასევე, სიაში მოხვდნენ ტელეკომპანია „რასიას“ ჟურნალისტები, გამოცემა „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტი, „როსნეფტის“ პრესმდივანი მიხაილ ლეონტიევი. შეზღუდვები შეეხო რუსეთის თავდაცვის უწყების ტელეარხს „ზვეზდას“.

რა მოხდება თუ კომპანიების ნაწილი სამუშაოს დილის 6-ზე ან ვთქვათ 7 საათზე დაიწყებს?

ბევრი ქვეყანა სწორედ ასე ადრე იღვიძებს. ამით ხალხს მეტი დრო რჩება დასვენების, ოჯახისთვის და ქალაქებს ხერგილებისგან განტვირთვაში ეხმარება.

გავამრავლოთ „ტოროლები“, გამოვაფხიზლოთ ბუები!

„სამუშაო დღე მთელ ქვეყანაში 8 საათზე დაიწყოს და 16 საათზე დამთავრდეს“, — ასეთი იდეა ჰქონდა „რესტორატორთა ასოციაციის“ დამფუძნებელს **შოთა ბურჯანაძეს** 2021 წელს. თუკი საქართველო ორი საათით ადრე გაიღვიძებდა, ეს ხალხსაც წაადგებოდა და ქვეყნის ეკონომიკასაც — ამტკიცებდა რესტორატორი.

ასეთივე თაოსნობები, ჰქონდათ სხვებსაც და არამარტო საქართველოში. ივლისში სომხეთის დედაქალაქის მერმა, ჰრაჩია სარქისიანმა გადაწყვიტა, რომ ერევანმა ადრე უნდა გაიღვიძოს და ამისთვის „უკიდურეს ზომებსაც“ მიმართა.

„ამიერიდან მუსიკას, რომელიც ჩვენ ერევნის მერიის საათიდან გვესმის, ერთდროულად დედაქალაქის 12-ვე ადმინისტრაციულ რაიონში დილის 7 საათზე გაიგონებენ“, — თქვა მან. ახლა ერევნის მერიასა და სომხეთის სხვა მუნიციპალიტეტებში დილის 7 საათზე ჰიმნს უკრავენ.

მაინც რა იცვლება, როცა სამსახური არა 10 საათზე, არამედ 2-3 საათით ადრე იწყება?

ირაკლი როსტომაშვილი, მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი რომელიც გერმანულენოვანი ქვეყნების (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია) გამოცდილებას სწავლობდა, ამბობს, რომ ასე ოჯახისთვის და დასვენებისთვის მეტი დრო რჩება.

„ჩვენთან ადამიანი მუშაობას იწყებს ათ საათზე, ბრუნდება რვის ნახევარზე, რადგან თბილისში სახლში დროულად ვერც მიაღწევ. შეჭამს, დაწვება და დაიძინებს. გერმანიაში ექვს საათზე იწყება სამუშაო დღე. 14-15 საათზე უკვე სახლში არიან და მთელი საღამო წინ აქვთ. ძირითადად ქუჩაში სეირნობენ ოჯახთან ერთად. ამას მოჰყვება ისიც, რომ ვიღაცა მზესუმზირას გაყიდის, ვიღაცა მოხალულ წაბლს (ძალიან პოპულარულია ევროპაში), ვიღაც ნამცხვარს გამოაცხობს და იმას გაყიდის და დამატებითი შემოსავალი ექნება“, — ირაკლი როსტომაშვილი ამბობს, რომ სამუშაო საათების გადაწევა ქვეყნის ეკონომიკაზეც მოქმედებს, **— „არ შეიძლება დაქცეულ ქვეყანაში მუნიციპალური სტრუქტურები 10 საათზე იწყებდნენ მუშაობას. მე თუ მაქვს დეველოპერული კომპანია და სახელმწიფო სამსახურები 6 საათზე გაიღება, მეც მასზე ავეწყობი. მაგრამ ჩვენთან ეს რომ შემოიტანონ, იტყვიან, ძილის უფლებასაც აღარ გვაძლევენო“.**

კიდევ ერთი ფაქტორი — თბილისის ქუჩებში დილის და საღამოს საათებში მუდმივი ხერგილებია. სამსახურში ყველა ერთი და იგივე დროს დადის. ექსპერტები ფიქრობენ, რომ თუ კომპანიების ნაწილი მუშაობას ადრე დაიწყებს, ეს ქუჩების განტვირთვასაც შეეშველება.

„განტვირთვაზე ყველაფერი მოქმედებს“, — ამბობს „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ დამფუძნებელი **გელა კვაშილავა, — „თბილისში ძირითადი ტრანსპორტი მანქანაა, თან ამ მანქანებში უმეტესად ერთი კაცი ზის... სამუშაო საათების გადაწევასაც აქვს აზრი, განსაკუთრებით დიდ ოფისებში. ამაში თავად კომპანიებიც უნდა იყვნენ დაინტერესებულები, მით უფრო, თუ თანამშრომელი სამსახურში დროზე ვერ მოდის...“**

> **2022 წლის მონაცემებით, ადამიანები მსოფლიოში საშუალოდ 6:00 - 9:00 საათამდე იღვიძებენ. ყველაზე ადრე იღვიძებს სამხრეთ აფრიკა — 6:24 სთ. ტოროლების რიგში არიან კოსტა რიკა და კოლუმბიაც. ევროპა და აზიის ბევრი ძვეყანა, მათ შორის ჩინეთი, იაპონია და სამხრეთ კორეა 7 საათისთვის იღვიძებს. ყველაზე გვიან კი საბერძნეთი და საუდის არაბეთი „დგება“ — 8: 30 საათზე. ეს საშუალო მაჩვენებელია, სხვადასხვა წლებში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ბევრი გაცილებით ადრეც ახერხებს ადგომას, მაგალითად ამერიკელების საკმაოდ დიდი ნაწილი დილას 4 საათზე იწყებს, რაც თითქმის წარმოუდგენელია ესპანელებისთვის. ესპანეთში ამ დროისთვის ბევრი ჯერ მხოლოდ დასაძინებლად ემზადება.**

> **ტარებული კვლევები აჩვენებს, რომ ბევრი გაცილებით ადრეც ახერხებს ადგომას, მაგალითად ამერიკელების საკმაოდ დიდი ნაწილი დილას 4 საათზე იწყებს, რაც თითქმის წარმოუდგენელია ესპანელებისთვის. ესპანეთში ამ დროისთვის ბევრი ჯერ მხოლოდ დასაძინებლად ემზადება.**

კვლევებისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიამ „ეისითი“ 2018 წელს ჩაატარა კვლევა თუ რომელ საათზე იღვიძებს თბილისის მოსახლეობა. გაირკვა, რომ 41% იღვიძებს — 06:00-08:00 საათებში, 39% — 08:00-10:00 საათებში, ხოლო 9% — 10:00-12:00 დროის პერიოდში. მოსახლეობის ყველაზე მცირე ნაწილი (4%) იღვიძებს 12:00 საათზე ან უფრო გვიან. ასევე ცოტანი არიან (6%) ისინიც, ვინც 06:00 საათზე ან უფრო ადრე დგებიან.

გარემოდამცველი **კახა ბახტაძე** იხსენებს, წლების წინ როგორ სცადეს ორგანიზაციაში სამუშაო საათები დილისკენ გადაეწიათ. მცდელობა მცდელობად დარჩა, რადგან თანამშრომლების ნაწილს ბავშვები სკოლაში ჰყავდა მისაყვანი.

„გვინდოდა 7-8 საათზე დაგვეწყო, მაგრამ 9 საათზეც კი ვერ მოდიოდნენ სამსახურში, რადგან მანამდე ბავშვი უნდა მიეყვანათ სკოლაში. ლოჯისტიკურმა პრობლემებმაც იჩინა თავი, აღმოჩნდა, რომ ისეთი თანამშრომლები, როგორიცაა, მაგალითად, ოფისს-მენეჯერი მთელი დღე სამსახურში უნდა ყოფილიყო, ან ორი ადამიანი უნდა აგვეყვანა ამ ადგილას“, - ამბობს კახა ბახტაძე და მიიჩნევს, რომ დღეს გაცილებით მოსახერხებელია, თანამშრომელი დისტანციურად მუშაობდეს ან შედარებით თავისუფალი გრაფიკი ჰქონდეს, — **„სკოლას არის მორგებული დღეს ბევრი და ამის თქმა, რომ გინდა თუ არა 7 საათზე დაიწყე მუშაობა, არ გამოვა. ამას ჯობს“ მიიყვანოს ბავშვი 9 საათზე სკოლაში, მოვიდეს სამსახურში და თუნდაც შუაღამისას გააკეთოს თავისი საქმე“.**

ექსპერტი განათლების საკითხებში **თამარ მოსიაშვილი** ამბობს, რომ ევროპაში სკოლა რვა საათზე, რვის ნახევარზე და ზოგან უფრო ადრეც იწყება.

„ამაზეც შეიძლება ფიქრი, სკოლამ რომ ერთი საათით ადრე გადაინაცვლოს. ცოტა ამოისუნთქავს ქალაქი, მაგრამ როდესაც ამდენი მანქანაა და გაჩერებებზეც საზოგადოებრივ ტრანსპორტს დიდხანს ელოდები... არ ვიცი რა უნდა შეიცვალოს, რომ ამას ეშველოს. იმ ქვეყნებში სადაც ხერგილები არ არის, იქ უბრალოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტია გამართული“, — ამბობს თამარ მოსიაშვილი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი მანანა ხარხელი, რომელიც დროის მენეჯმენტზე მუშაობს ამბობს, რომ მსგავსი ცვლილება თანამშრომლებთან შეთანხმებით უნდა ხდებოდეს. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზოგი ადამიანი ბუნებით „ბუა“ და ზოგი — „ტოროლა“.

„როგორც აუცილებლობა, რომ შემოიღო სწორი არ იქნება. „ტოროლებს“ ურჩევნიათ რთული საქმეები დილით გააკეთონ, ამ დროს უფრო ენერგიულები და მიზანდასახულები არიან. მაგრამ არიან „ბუები“, რომელებიც ერთხელ და ორჯერ შეიძლება გააღვიძო, მაგრამ თუ მუდმივად ასეთ მდგომარეობაში ამყოფებ, ნერვულ აშლილობამდე მივლენ. შეიძლება ორგანიზაციამ თავად სცადოს, გადააწყოს ისე, რომ ნაწილმა ადრე დაიწყოს (მაგალითად 8 საათზე) და დაამთავროს მუშაობა, მეორე ნაწილმა კი გვიან (მაგალითად 13-14 საათზე)“, — ამბობს **მანანა ხარხელი.** მისი აზრით, ამ მხრივ თუნდაც ექსპერიმენტის ჩატარება უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, — **„რამდენიმე წარმატებულმა კომპანიამ რომ დანერგოს და ნახოს რა შედეგზე გავლენ, ამაზე უკეთესს ვერაფერს გააკეთებენ“.**

თეა თოფურია,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

„რეფორმა“ — ისევ ბუნდოვნად და სანერვიულოდ!

1 ნოემბრიდან სამედიცინო დაწესებულებებში DRG დაფინანსების მოდელი ამოქმედდება

> **საძართველოში კლინიკების დაფინანსების ახალი მოდელი, DRG სისტემა პირველი ნოემბრიდან ამოქმედდება. ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაურმა სამედიცინო სექტორთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

მისი თქმით, ახალ მოდელზე გადასვლით პაციენტისთვის არაფერი იცვლება და ამ სისტემაზე გადასვლა გულისხმობს კლინიკებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას.

ღუდუშაურის განმარტებით, დღემდე დაფინანსება ხდებოდა ჩარევის მიხედვით, კონკრეტულ პაციენტს იმის მიხედვით უნაზღაურდებოდა ხარჯი, თუ რა ჩარევა სჭირდებოდა მას, DRG პრინციპი გულისხმობს, რომ პაციენტი ფინანსდება დიაგნოზის მიხედვით. ღუდუშაურის თქმით, კონკრეტულ დიაგნოზზე არის განსაზღვრული კონკრეტული ტარიფი და არ აქვს მნიშვნელობა, რა ჩარევა სჭირდება, ოპერაცია, რეანიმაცია თუ სხვა.

> **„იცვლება მხოლოდ გადახდის პრინციპი, რომელიც არის ურთიერთობა კლინიკებსა და სახელმწიფოს შორის. პაციენტისთვის არაფერი იცვლება, გარდა იმისა, რომ სახელმწიფო ადგენს ახალი თამაშის პირობებს კლინიკებისთვის. თუ დღემდე კლინიკას შეეძლო, საყოველთაო პრინციპით თანაგადახდის გარდა, პაციენტისთვის დამატებით უკეთესი სერვისის თუ ექიმის ჰონორარის დაფინანსება მოეთხოვა, მას შემდეგ, რაც DRG გაეშვება, ამის მოთხოვნის უფლება კლინიკას არ ექნება. ნებისმიერ დიაგნოზზე არის განსაზღვრული ტარიფი, ამ ტარიფის თანაგადახდის მოცულობაა — 10, 20 თუ 30 პროცენტი. პაციენტს ეცოდინება განფასება, შესაბამისი პროცენტი და ამ თანხის ზევით არაფერს გადაიხდის“,** — განაცხადა ილია ღუდუშაურმა.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ცნობით, მოქალაქეებისთვის დამატებითი ხარჯების თავიდან არიდების გარდა, ახალი დაფინანსების მოდელის ამოქმედება მნიშვნელოვანია სამედიცინო სექტრორისთვისაც. ღუდუშაურის განცხადებით, ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის ტარიფების გადახედვას კლინიკები რამდენიმე თვეა, აქტიურად ითხოვენ:

> **„მარტიდან მოყოლებული, რაც კოვიდის შემდეგ შემცირდა მიმართვიანობა კლინიკებში და მოუწიათ დაბრუნება ძველ ტარიფებზე, სამედიცინო სექტორს გაუჭირდა და ითხოვდა ტარიფების მომატებას. ამიტომ ჩვენ დავიწყეთ მუშაობა „დიარჯის“ პრინციპზე. ამ პრინციპის დათვლისას ორი კომპონენტია ყველაზე მნიშნელოვანი — საბაზისო ტარიფი, რომელიც საშუალო ჩარევის ღირებულებაა და რომლის დასათვლელად ჩვენ 2019 წლის მონაცემები ავიღეთ და დავუმატეთ ამ პერიოდის ინფლაცია, რათა სამართლიანი ყოფილიყო. რაც შეეხება კონკრეტული დიაგნოზის კოეფიციენტებს, ჩვენ გამოვიყენეთ საერთაშორისო პრაქტიკა, ლატვიური მაგალითი, რათა კონკრეტული ჩარევის დიაგნოზთან დაკავშირებული ტარიფი გამოგვეყვანა. ვფიქრობთ, სამართლიანია და ყველაზე დიდი პრობლემა, რასაც კლინიკები ასახელებდნენ, რომ სხვადასხვა კლინიკას სხვადასხვა ტარიფი ჰქონდა. ეს საკითხი არის მოგვარებული“.**

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის განცხადებით, ტარიფები არის სამართლიანი:

> **„შესაბამისად, იმ კლინიკებთან დაკავშირებით, რომლებიც დამატებით მოთხოვნებს წაუყენებენ პაციენტებს, სახელმწიფო იქნება მაქსიმალურად მკაცრი და მაქსიმალურ მონიტორინგს განახორციელებს, რათა დამატებითი თანაგადახდა პაციენტებს აღარ მოუწიოთ“.**

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე, DRG სისტემა არ გავრცელდება შემდეგ სამედიცინო მომსახურებაზე:

- **გეგმური და გადაუდებელი ამბულატორია;**
- **ნეონატალური ასაკის (ნეონატალურ ასაკში დაწყებული) ინტენსიური მოვლა/მკურნალობა;**
- **გულის თანდაყოლილი მანკების მკურნალობა;**
- **მშობიაობრობ/საკეისრო კვეთა;**
- **ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია და მასთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები;**
- **კომბუსტიოლოგია;**
- **თრომბოლიზისი და თრომბექტომია, ინსულტის შემთხვევაში.**

პუშკინცვენა- რას ერჩიან რუს პოეტს?!

ვინ ასხამდა ხოტბა-დიდებას რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას?!

რუსეთის უკრაინაში შეჭრამ ძეგლების დამხობის ახალი ტალღა გამოიწვია როგორც თავად უკრაინაში, ასევე მეზობელ ბალტიის ძვეყნებში, პოლონეთსა და ფინეთში, თუმცა ყველაზე მძლავრი ტალღა, გასაგები მიზეზების გამო, მაინც უკრაინაში აგორდა. რუსეთმა, რომელიც ომის დაწყების წინ დენაციფიკაციითა და დეუკრაინიზაციით ემუქრებოდა კიევს, პასუხად მიიღო დესოვეტიზაცია და დერუსიფიკაცია, რაც გამოიხატა რუსეთთან და საბჭოთა ეპოქასთან დაკავშირებული სახელდებების მასობრივ შეცვლასა და ძეგლების ჩამოგდებაში.

ამ ტალღას ვერ გადაურჩა ალექსანდრე პუშკინიც, რუსული ლიტერატურის კლასიკოსი, რომლის მორიგი ბიუსტი ორიოდე დღის წინ გაიტანეს უკრაინის დედაქალაქის ცენტრიდან.

კიევის პეჩერსკის რაიონში, ეროვნული სატრანსპორტო უნივერსიტეტის შესასვლელთან, პუშკინის ეს ბიუსტი 1899 წლიდან იდგა. ძეგლი აღიმართა მწერლის 100 წლის იუბილეზე და, ვიდრე არ აიღეს, მიიჩნეოდა კიევში პუშკინის ყველაზე ძველ ქანდაკებად, რომლის ბრინჯაოში ჩამოსხმა და ბაზალტის კვარცხლბეკზე შემოდგმა, კიევის ვაჟთა მე-5 გიმნაზიის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს 9000 რუბლი დაუჯდათ.

პეტერბურგელი მოქანდაკის, ბაზის მიერ გაკეთებული ბიუსტის კვარცხლბეკს ამშვენებდა წარწერა: „ალექსანდრ სერგეევიჩ პუშკინს, კიევ-პეჩერსკის გიმნაზია. 1799 წელი. 1899 წლის 26 მაისი.“



„დემონტაჟი მიეძღვნა უკრაინის შეიარაღებული ძალების ლეიტენანტ დენის ანტიპოვს („ბუკ“), ცნობილ საზოგადო აქტივისტს, კორეული ენის მასწავლებელს კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში, რომელიც დაეცა რუს ოკუპანტებთან ბრძოლაში 2022 წლის მაისში“, — დაწერა სოციალურ ქსელ ფეისბუკში ვადიმ პოზდნიაკოვმა, რომელიც პროექტ „უკრაინის დეკომუნიზაციის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია.

ვადიმ პოზდნიაკოვის თქმით, კიევში ჯერ კიდევ არის დარჩენილი პუშკინთან დაკავშირებული 7 ობიექტი:

2022 წლის აგვისტოში, ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ, კიევში ასევე აიღეს პუშკინის კიდევ ერთი ბიუსტი, რომელიც მწერლის სახელობის 153-ე გიმნაზიის წინ იდგა. ალექსანდრე პუშკინის ძეგლების აღება უკრაინაში (ცნობილია როგორც პუშკინცვენა, უკრ. რუშატნოპად), უკრაინის დერუსიფიკაციის პროცესის ნაწილია, რომლის აქტიური ფაზა 2022 წლის 24 თებერვლიდან, უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან დაიწყო. უკვე აღებულია საბჭოთა პერიოდში დადგმული 90-მდე ძეგლი.

თუ 2014 წლის (ყირიმის ანექსიის) შემდეგ ძირითადად ქვისა და ბრინჯაოს ლენინები ცვიოდნენ, ამჯერად პუშკინები და გორკები ენარცხებიან მიწაზე.

- **პუშკინის პირველი ძეგლი, რომლის აღებაც ფართოდ გახმაურდა, 2022 წლის 7 აპრილამდე სოფელ მუკაჩევოში იწონებდა თავს.**
- **2022 წლის 9 აპრილს პუშკინის ძეგლები აიღეს უჟგოროდსა და ტერნოპოლში.**

ტერნოპოლში პუშკინს ძეგლს, რომელიც 1961 წლიდან იდგა, ჯერ კიდევ 2022 წლის 22 მარტს წააწერეს წითელი საღებავით: **„შეაჩერე ომი“!**

ტერნოპოლის მერმა, სერჰი ნადალმა ძეგლის აღების შემდეგ განაცხადა:

„რუსეთის დანაშაულებმა უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ: მკვლელობებმა, ადამიანების წამებამ, ძალებისა და ბავშვების გაუპატიურებამ, უკრაინის ძალაძების ნგრევამ — წაშალა რუსი ხალხის მთელი კულტურა. ამ დანაშაულებს ახსნა არ აძვს. არჩევანს არ გვიტოვებენ. ყველაფერი რუსულის დემონტაჟი უნდა მოხდეს, მათ შორის რუსი მწერლის ძეგლისაც“.

2022 წლის აპრილიდან მოყოლებული უკრაინაში პუშკინის ძეგლები, ბიუსტები და მემორიალური დაფები აიღეს კიევში, ხარკოვში, ჩერნიგოვში, ლვოვში, ნიკოლაევში, ზაპოროჟიეში და სხვა.

რატომ მაინცდამაინც პუშკინი?

ყირიმელი ბლოგერის, ქერჩის მკვიდრის ანდრეი ფურდიკის დაკვირვებით, ალექსანდრე პუშკინი რეკორდსმენია უკრაინაში ძეგლების რაოდენობის მიხედვით, რაც შესაძლოა იყოს კიდეც დერუსიფიკაციის ფოკუსში პუშკინის მოხვედრის ერთ-ერთი მიზეზი.

„ვფიქრობ, პუშკინი რომ არ ყოფილიყო ასე თავბრუდამხვევად მრავალი უკრაინის ქალაქების ქუჩებში, ალბათ ასე ინტენსიურად არ მოხდებოდა მისი გაიგივება რუსეთთან და, შესაბამისად, არ გამოიწვევდა ამგვარ ნეგატიურ რეაქციასაც“, — მიაჩნია ბლოგერს, რომელიც რადიო თავისუფლების ერთ-ერთი პროექტის, „კრიმ.რეალი-ისთვის“ წერს.

თუმცა ძნელი მისახვედრი არაა, რომ ძეგლების რაოდენობა ასევე გააზრებული რუსული ექსპანსიური პოლიტიკის ნაწილია და არა შემთხვევითობა.

როგორც ისტორიკოსი ერიკ ჰობსბაუმი წერდა, წარსულის მოღვაწეთა ძეგლების მასობრივად აღმართვა დაიწყო მე-19 საუკუნეში და ის წარმოადგენს „ტრადიციების გამოგონების“ სახელმწიფო პროექტის ნაწილს. შესაბამისად, მონუმენტური ფიგურებიც ეროვნული ისტორიის ინტერპრეტაციის სიმბოლური ნაწილია.

„მონუმენტები, როგორც წესი, საჭიროა რაღაც სიმბოლური სისტემის კონსოლიდაციისთვის. იმისათვის, რომ ადამიანებმა დაინახონ, როგორ მუშაობს სამყარო და ვინ იმსახურებს ხსოვნასა და მადლიერებას და ვინ — არა“, — ამბობს რუსი ისტორიკოსი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი ივანე კურილა.

აკი, იოსიფ ბროდსკიც იმ თავის საშინელ ლექსში, უკრაინის დამოუკიდებლობაზე რომ დაწერა, პირდაპირ ამბობს (მიმართავს უკრაინელებს), რომ ხსოვნასა და გახსენებას იმსახურებს რუს ალექსანდრეს (პუშკინის) სტრიქონები და არა უკრაინელ ტარასის (შევჩენკოს) როშვა.

ალექსანდრე პუშკინი რუსული კულტურის, ალბათ, მართლა ყველაზე დიდი ფიგურაა, იგივე, ვინც გოეთეა გერმანელებისთვის და შექსპირი ინგლისელებისთვის. როგორც რუსი მეცნიერი, დიმიტრი ლიხაჩოვი ამბობდა, პუშკინი რუსეთის ეროვნული ავლადიდებაა: „ის ყოველთვის ჩვენთანაა, ის ჩვენი სულისა და ზნეობის უმაღლესი კრიტერიუმია... პუშკინი გენიოსია, რომელმაც მოახერხა რუსული ეროვნების, რუსული კულტურის იდეალის შექმნა“.

მაგრამ ვინ არიან პუშკინი და სხვა დიდი რუსი მწერლები რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებისთვის?

აკაკი ბაქრაძის თქმით, **„რუსეთმა კავკასიის, ბალტიისპირეთის, შუა აზიის და სხვა რეგიონების ხალხები ისე დაიპყრო, რომ რუსეთის კულტურის მოღვაწეთა შორის ერთი კაციც არ აღმოჩენილა ისეთი, ვინც პირუთვნელად ამხელდა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას. პირიქით, ხოტბა-დიდებას უმღერდნენ.“**

რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკასა და მის ყველაზე სასტიკ გამტარებლებს ხოტბა-დიდებას ასხამდა პუშკინიც **(„დახარე თოვლიანი თავი,/ დამორჩილდი, კავკასიავ, ერმოლოვი მოდის“)**, რომლის „კავკასიის ტყვემ“ რუსეთშიც კი აღაშფოთა ზოგიერთები:

„ვნანობ, რომ პუშკინმა სისხლით შეფერა თავისი პოემის ბოლო ლექსები. რა გმირია კოტლიარევსკი ან — ერმოლოვი? განა კარგია, რომ ის შავი ჭირვით მუსრს ავლებდა მთელ ტომებს? პოეზია ჯალათების მოკავშირე არ არის. პოლიტიკას ისინი შეიძლება სჭირდებოდეს და მაშინ ისტორიაა მათი მსაჯული, მაგრამ პოეტური ჰიმნები ხალხის ხოცვას არავითარ შემთხვევაში არ უნდა განადიდებდეს“ (პიოტრ ვიაზემსკიის წერილი ა. ტურგენევისადმი).

2022 წელს უკრაინაში სულ აიღეს პუშკინის 16 და მაძსიმ გორკის 6 ძეგლი. გორკისა და პუშკინის გარდა გაიზიარეს ალ. სუვოროვის, ალექსანდრე ნოველისა და 1812 წლის ომში მონაწილე გრენადერების ძეგლებმაც.

ძეგლების გარდა, უკრაინის ქალაქების მოედნებიდან აიღეს მემორიალური საბჭოთა ტანკები და თვითმფრინავები, შენობებსა და მონუმენტებს კი მოაშორეს საბჭოთა სიმბოლოები — ნამგლები და უროები, წითელი არმიის ვარსკვლავები და სხვ.

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

საქართველოში ტურიზმის შემოსავალი იზრდება

ჩვენს ქვეყანას ტურისტული თვალსაზრისით რომ უდიდესი პოტენციალი აქვს, ყველამ კარგად ვიცით. 2022 წელს საქართველომ საკმაოდ სოლიდური შემოსავალი მიიღო. ჯერ წელი არ დასრულებულა და ტურიზმიდან ქვეყანაში უკვე 2.9 მილიარდი დოლარია შემოსული. ეს წინა წლის მონაცემებს 190 პროცენტით აღემატება.

ეროვნულმა ბანკმა სულ ახლახანს გამოაქვეყნა სექტემბრის თვის შემოსავალი, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ვიზიტორებისგან 376 მილიონი დოლარი მივიღეთ. ეროვნული ბანკი ითვლის ტურიზმის შემოსავლებს კონკრეტული ქვეყნების ჭრილშიც. სებ-ის მონაცემებით, სექტემბერში საქართველომ ყველაზე მეტი თანხა — 96 მილიონი დოლარი რუსი მოგზაურებისგან მიიღო. მთლიანად ევროკავშირის ქვეყნების მოგზაურებმა 45 მილიონი დახარჯეს, თურქეთის მოქალაქეებმა 36 მილიონი, უკრაინის — 32 მილიონი, ასევე 32 მილიონი დოლარი დახარჯეს სექტემბერში საქართველოში ისრაელის მოქალაქეებმაც.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიერ მომზადებული ტურიზმის სტრატეგიის თანახმად, მიმდინარე წელს, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 3 მილიარდი დოლარი უნდა შეადგინოს. 2025 წლისთვის კი ქვეყანა ტურიზმიდან 5.2 მილიარდი დოლარის შემოსავალს ელოდება. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს რიცხვი ნამდვილად შთამბეჭდავია. მთავარია, ომი მალე დამთავრდეს და მშვიდობამ დაისადგუროს.

მსოფლიო სურსათის დღეები მესტიაში

16-17 ოქტომბერს საქართველოს ულამაზესმა მხარემ, სვანეთმა მსოფლიო სურსათის და სოფლად მცხოვრები ქალების დღეს ერთობლივად უმასპინძლა.

ღონისძიების ფარგლებში მესტიაში ფერმერების მონაწილეობით გაიმართა აგრარული ბაზარი, სადაც წარმოდგენილი იქნა ადგილობრივი და ნიშური პროდუქტი: რძის ნაწარმი, თაფლი, ღვინო, ადგილობრივი კერძები. ასევე მოეწყო ხორბლისა და პურის, მათ შორის, ძველი ქართული ხორბლის ჯიშების გამოფენა.

„ამ დღის მიზანია მცირე მეწარმეების მხარდაჭერა და ადგილობრივი ნიშური პროდუქტის პოპულარიზაცია, სოფლად მცხოვრები მეწარმე ქალების მხარდაჭერა და მათი შრომის შესახებ ინფორმაციის გავრცელება“, — ვკითხულობთ ორგანიზატორების განცხადებაში.

ეს მნიშვნელოვანი ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობი ორგანიზაციამ (FAO), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, გაეროს ქალთა ორგანიზაციამ (Women‘) და მესტიის მუნიციპალიტეტმა ერთობლივად აღნიშნეს. მსოფლიო სურსათის დღე ყოველწლიურად, 16 ოქტომბერს, მსოფლიოს 150-მდე ქვეყანაში აღინიშნება.

რუსუდან ქოგულია

სვანური სახლი — ეთნოგრაფიულ მუზეუმს

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ პირველად, კიდევ ერთი, საქართველოს უმშვენიერესი კუთხის სახლი შეემატება. ეს არის რამდენიმე საუკუნის წინ აშენებული სვანური სახლი.

მაჩუბი თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სვანური კოშკის გვერდით განთავსდება. სვანეთიდან მისი დემონტაჟისა და ტრანსპორტირების პროცესში შესაბამისი სპეციალისტები და არქიტექტორები არიან ჩართულნი. მუზეუმში ამ დრომდე მხოლოდ კოშკი იდგა.

1. თურქეთის პოლიტიკა სამაგალითოა!

რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების შედეგად გამოწვეული გეოპოლიტიკური ძვრები ყოველდღე გვიწყობს სიურპრიზებს. მაგალითად, სპარსეთის ყურის ძვეყნები, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყოველთვის ამერიკის მოკავშირეები იყვნენ. დღეს კი, ამას დანამდვილებით ვეღარ იტყვი. ამერიკას, სპარსეთის ყურის ლიდერ ძვეყანასთან, საუდის არაბეთთან, მთლად გაუფუჭდა ურთიერთობა. და, აი რა მოხდა: ორგანიზაცია OPEC+ის წევრი ძვეყნები შეთანხმდნენ, რომ ნოემბრიდან დღე-ღამის განმავლობაში ნავთობის მოპოვებას 2 მილიონი ბარელით შეამცირებენ.



შეგახსენებთ, რომ OPEC+ არის ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის OPEC-ის წევრი ქვეყნებისა და ნავთობის მომპოვებელი, მაგრამ OPEC-ში არშემავალი, ქვეყნების კავშირი. რა თქმა უნდა OPEC+ის მთავარი ლიდერები რუსეთი და საუდის არაბეთია. ამ ნაბიჯით OPEC-ი ნავთობის ფასის ვარდნის შეჩერებას ცდილობს. მისი განმარტებით, გადაწყვეტილება ემყარება გაურკვევლობას, რომლითაც მოცულია გლობალური ეკონომიკა და ნავთობის ბაზრის პერსპექტივა. 2019 წლის შემდეგ, ეს ნავთობის მოპოვების ყველაზე მსხვილმასშტაბიანი შემცირებაა, რაც, პრაქტიკულად, იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასები დარჩება მაღალი, ან, კიდევ უფრო გაიზრდება. ზუსტად ამ გადაწყვეტილების გამო დაიძაბა ურთიერთობა ამერიკასა და საუდის არაბეთს შორის. ამერიკის მთავრობამ, ამ გადაწყვეტილების გამო, დიდი უკმაყოფილება გამოხატა.

თეთრი სახლის განცხადებაში ნათქვამია, რომ პრეზიდენტი იმედგაცრუებულია OPEC+ის წინდაუხედავი ნაბიჯით, შეემცირებინა წარმოების კვოტები მაშინ, როდესაც გლობალური ეკონომიკა პუტინის უკრაინაში შეჭრის გამო წარმოქმნილ უარყოფით გავლენებს ძლივს უმკლავდება. ყველაზე მეტად გამწარდა და თავი მოტყუებულად იგრძნო ჯო ბაიდენმა. ის ამ ზაფხულს პირადად ეწვია საუდის არაბეთის პრინცს მუჰამედ-იბნ-სალმანს. ამერიკის პრეზიდენტმა პრინცი გააფრთხილა, რომ რუსეთს მხარი არ აუბას. შეხვედრამ, თითქოს, კარგად ჩაიარა, მაგრამ მალე გამოჩნდა, რომ პრინცი საკუთარ თამაშს თამაშობდა. ყველაფერ ამას მოჰყვა ბაიდენის განცხადება, რომ ამერიკა საუდის არაბეთთან ურთიერთობის პოლიტიკას გადახედავს.

ამერიკელმა სენატორებმაც მწვავედ გააკრიტიკეს საუდის არაბეთი. რამდენიმე სენატორმა საუდის არაბეთთან ურთიერთობის მთლიანად გაწყვეტაც კი მოითხოვა, თან, იმ დონეზე, რომ ამერიკამ საუდის არაბეთს შეუწყვიტოს ყოველგვარი დახმარება უსაფრთხოების საკითხებსა და სამხედრო დარგში. საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამერიკის მასმედიის გამოყენებით ეცადა დაეწყნარებინა ამერიკელი პოლიტიკოსები, განაცხადა რა, რომ საუდის მიერ ნავთობის მოპოვების შემცირება არ ნიშნავს საუდის არაბეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობის გაფუჭებას. პრინცის თქმით, ეს მხოლოდ ბიზნესია. საუდის არაბეთი რუსეთთან თანამშრომლობს მხოლოდ ეკონომიკურ და არა უსაფრთხოების საკითხშიო. დასავლელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო წლებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ცდილობენ პოლიტიკას პრაგმატულად მიუდგნენ.

მათთვის სამაგალითო გახდა თურქეთის პოლიტიკა, რომელიც ნატოს წევრია, მაგრამ რუსეთის მიმართ სანქციებს არ აწესებს. თურქეთი ცდილობს თავისი თამაში ითამაშოს. ზუსტად ამ პოლიტიკის მიბაძვის მცდელობაა სპარსეთის ყურის ზოგიერთი ქვეყნის მოქმედება. მაგალითად, რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირებაში, ორმა ქვეყანამ, ყატარმა და ქუვეითმა არაოფიციალურად დაუჭირა მხარი დასავლეთს. დანარჩენებს ნეიტრალური პოზიცია უკავიათ. ეს ქვეყნები ცდილობენ ეკონომიკური საკითხები უსაფრთხოების საკითხებისგან გამიჯნონ, რადგან რუსეთთან კარგ ურთიერთობას ბევრი ფული მოაქვს. ამიტომაც, სანქციებს არ უწესებენ. უსაფრთხოების საკითხში კი, დასავლეთთან თანამშრომლობენ, კერძოდ, ამერიკასთან. ბაიდენის ადმინისტრაცია არ ეთანხმება მათ ასეთ პოლიტიკას. მათი აზრით, ეკონომიკური საკითხები გადაბმულია უსაფრთხოების პრობლემებთან. ამიტომ, მათთვის სპარსეთის ყურის ზოგიერთი ქვეყნის ეს პოლიტიკა მიუღებელია. ბევრი ანალიტიკოსი ამ დაძაბულობას ამერიკას აბრალებს. მათი აზრით, ბაიდენის ადმინისტრაციამ მთავარ საკითხად ადამიანის უფლებები აქცია, რასაც სპარსეთის ყურის ქვეყნები ალმაცერად უყურებენ.

ადამიანის უფლებებზე გაუთავებელი ლაპარაკი ავტოკრატული ქვეყნების გაღიზიანებას იწვევს. რესპუბლიკელებთან დაახლოებულმა ზოგმა ექსპერტმა ასეთი აზრიც კი გამოთქვა, რომ საუდის არაბეთის პრინცი ცდილობს, წლევანდელ შუალედურ არჩევნებზე კონგრესში რესპუბლიკურ პარტიას დაეხმაროს. მათი აზრით, პრინცი ვერ იტანს ბაიდენს, მაგრამ კარგი ურთიერთობა ჰქონდა დონალდ ტრამპთან. გამართლდება თუ არა ეს მოსაზრება, მალე გავიგებთ. არჩევნების პირველი რაუნდი ამერიკაში ნოემბრის დასაწყისშია.



2. სადამ ჰუსეინი ექსტრემალური სისასტიკით გამოირჩეოდა!..

პოლიტიკური პარადოქსია, რომ ომი, რომელსაც ისტორიკოსებმა უაზრო უწოდეს, მესამე სამყაროს ძვეყნების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი კონფლიქტი იყო, რომელიც რვა წელი გრძელდებოდა. დაიწყო 1980 წლის 22 სექტემბერს და დამთავრდა 1988 წლის 20 აგვისტოს, ომი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მილიარდობით ზარალი გამოიწვია, ასი ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დატოვა და მთელი მსოფლიო კინაღამ სამხედრო დაპირისპირების წინაშე დააყენა.

იმ დროს, დედამიწის ზურგზე არაერთი ცხელი წერტილი იყო, მაგრამ ირან-ერაყის ამ კონფლიქტმა ყველაზე მეტად დაამახსოვრა თავი მსოფლიოს, რადგან ის ყველაზე სისხლიანი და დამანგრეველი აღმოჩნდა. სპარსელებისთვის, ის ეგრეთწოდებული წმინდა თავდაცვის ომი იყო: ირანელი შიიტები თავს არაბი სუნიტებისგან იცავდნენ. ერაყელებმა კი, ამ დაპირისპირებას სადამ ჰუსეინის ყასიდია უწოდეს, მეშვიდე საუკუნის ალ-ყასიდიას ომთან პარალელის გასატარებლად, რომელშიც არაბულმა ხალიფატმა სასტიკად დაამარცხა სპარსი სასანიდების იმპერია. ირან-ერაყის ომის საბაბად ტერიტორიული დავა ჩაითვალა, მდინარე შატ-ელ-არაბის გასწვრივ მდებარე მიწების გამო, თუმცა, ომის მიზეზს უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა და გაცილებით კომპლექსური იყო.

მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, ეს ორი ქვეყანა დამეგობრდა, მაგრამ ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ურთიერთობა დაეძაბათ, რაც ორი ქვეყნის ლიდერებს შორის გაღვივებულმა ანტიპატიამ გამოიწვია. აიათოლა ჰომეინი თავის წმინდა ვალად თვლიდა შიიტური პოლიტიკური წყობის დამკვიდრებას, რაშიც ერაყის დიქტატორი სადამ ჰუსეინი საფრთხეს ხედავდა თავისი მმართველობისთვის, რადგან ერაყელ მუსლიმთა უმრავლესობა შიიტური წარმოშობისაა. და რაც მთავარია, ორივე ქვეყნის მეთაურს სურდა, მუსლიმური სამყაროს ლიდერი გამხდარიყო. კონფლიქტი გარდაუვალი ჩანდა.

იმ დროს, ირანის არმია უფრო სუსტი იყო, ვიდრე ერაყის შეიარაღებული ძალები. სადამ ჰუსეინმა დრო იხელთა და ერაყის საზღვართან ახლომდებარე პროვინცია ჰუზისტანის ოკუპაცია დაგეგმა, რითაც ერაყის პრეზიდენტი ორი კურდღლის დაჭერას ლამობდა: ჰუზისტანის ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდებას და აიათოლა ჰომეინისთვის მომაკვდინებელი პოლიტიკური დარტყმის მიყენებას. ჰუსეინი ბლიცკრიგს ამზადებდა. მან ბევრი აღარ დააყოვნა და ირანის ტერიტორიაზე შეიჭრა. ომის საწყისი ეტაპი ერაყის უპირატესობით წარიმართა.

ირანმა ჰუზისტანში უზარმაზარი ზარალი განიცადა, საიდანაც ლტოლვილთა დიდი ნაკადი დაიძრა. სამი თვის განმავლობაში, ერაყის არმიამ ირანის ტერიტორიის თითქმის 20 ათასი კვადრატული კილომეტრი დაიკავა. აიღო ოთხი მნიშვნელოვანი ქალაქი. ერაყის პრეზიდენტი სიხარულს ვერ მალავდა წარმატებული ბლიცკრიგის გამო. მისი გენერალიტეტი, ომის დაწყებიდან სულ რაღაც ერთი თვის თავზე, გამარჯვებას ზეიმობდა. ერაყელები ომის მოგებას ყურბან-ბაირამის დღესასწაულს უკავშირებდნენ, მაგრამ ერაყის მთავრობის გათვლები არ გამართლდა.

ირანის სამხედრო ძალები და მობილიზებული მოსახლეობა თავგანწირულად იცავდა ქვეყანას. კონფლიქტი პოზიციურ ომში გადაიზარდა, რომელიც ტალღისებურად მიმდინარეობდა. ინიციატივა ხან ერთ მხარეს იყო, ხან მეორეს. ერაყის მხარე ექსტრემალური სისასტიკით გამოირჩეოდა. ომის დაწყებიდან მეოთხე წელს, სადამ ჰუსეინის ბრძანებით, ერაყის არმიამ ირანის წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენა. ეს იარაღი მან შემდგომში საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგაც მოსინჯა. ირანი მაშინ საერთაშორისო სარბიელზე არასახარბიელო რეპუტაციით სარგებლობდა. ამიტომ, ერაყის ამ სისასტიკეს ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები მსოფლიოში არ მოჰყოლია.

რა თქმა უნდა, ერაყი იყო აგრესორი ამ ომში, მაგრამ პოლიტიკურ მიზეზთა გამო, დასავლეთი, უპირველეს ყოვლისა, საფრანგეთი და ამერიკა, მხარს მაინც სადამ ჰუსეინს უჭერდა. ისინი ერაყს იარაღითა და სადაზვერვო ინფორმაციით ამარაგებდნენ. აკი ნათქვამია, ქვეყნებს შორის მეგობრობა კი არა, მხოლოდ პოლიტიკური ინტერესები მოქმედებსო. გასაოცარია ისიც, რომ ჰუსეინს კარგი ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან. ისინიც სადამ ჰუსეინს, ანუ აგრესორს, აწვდიდნენ იარაღს. ირანის დამხმარე კი, მხოლოდ ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, სირია და ლიბია აღმოჩნდა. ომის ბოლო ფაზაში, ამერიკამ სცადა ირანისთვის იარაღის მიწოდება. ამას ამერიკაში დიდი პოლიტიკური სკანდალი მოჰყვა, რომელიც ისტორიაში ირან-კონტრას სახელით შევიდა. ამ გახმაურებული საქმის გამო ამერიკის მაშინდელ პრეზიდენტს, რონალდ რეიგანს დიდხანს მოუწია თავის მართლება. ირან-ერაყის ომი ეტაპობრივად მიმდინარეობდა. 1984 წელს, პრეზიდენტმა ჰუსეინმა იერიში სპარსეთის ყურეში განთავსებულ ირანულ ფლოტზე მიიტანა.

ირანის პასუხმაც არ დააყოვნა. დაიწყო ე.წ. ტანკერების ომი, რომლის დროსაც ირანი ცდილობდა არ დაეშვა ყურედან ნავთობით დატვირთული ტანკერების გასვლა. ასეთმა საომარმა ტაქტიკამ კინაღამ საერთაშორისო კონფლიქტი გამოიწვია. ამერიკამ და სხვა დასავლურმა სახელმწიფოებმა ნავთობის გადაზიდვების უზრუნველსაყოფად, სპარსეთის ყურეში სამხედრო გემები შეიყვანეს. ყურეში დაზიანდა და ჩაიძირა დაახლოებით 500 ტანკერი. 1985 წელს, ერაყმა ე.წ. საქალაქო ომი დაიწყო, რაც მიზნად ისახავდა ირანის ქალაქების რაკეტებითა და არტილერიის საშუალებით სისტემატურ დაბომბვას.

ოპერაციას ასიათასობით ირანელი მოქალაქის სიცოცხლე ემსხვერპლა. ორი ცნობილი ინციდენტის გამო, ომი კინაღამ დიდ საერთაშორისო კონფლიქტში გადაიზარდა: 1987 წლის 17 მაისს ერაყიდან გასროლილი რაკეტა ამერიკულ ფრეგატს USS-Stark-ს მოხვდა და 37 მეზღვაურის სიცოცხლე იმსხვერპლა. 1988 წლის 3 ივლისს კი, ამერიკულმა კრეისერმა USS-Wisconsin-მა ცეცხლი გაუხსნა ირანულ სამგზავრო თვითმფრინავს, რომელიც მათ სამხედრო მფრინავ აპარატად მიიჩნიეს შეცდომით. შედეგად, თვითმფრინავი ჩამოვარდა და მისი 290-ვე მგზავრი დაიღუპა. ომმა ორივე ქვეყანა, როგორც მატერიალურად, ისე ადამიანური რესურსების მხრივ, საშინლად დააზარალა.



ქვეყნის მეთაურები უკვე ხვდებოდნენ, რომ ომს ვერცერთი ვერ მოიგებდა, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ საბრძოლო მოქმედებებს. გაეროსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჩარევით, ირანისა და ერაყის ლიდერებს კომპრომისზე წასვლა მოუხდათ. ნიუ-იორკში, გაეროს ეგიდით, სამშვიდობო მოლაპარაკებები გაიმართა. 1988 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 598-ე რეზოლუცია, რომელიც ომის დასრულებას უზრუნველყოფდა. 1988 წლის 20 აგვისტოს ომი დამთავრებულად გამოცხადდა. საზღვრები კი, ხელუხლებელი დარჩა. ასე დასრულდა ირან-ერაყის რვაწლიანი ომი.

ომის შედეგები ორივე მეომარი მხარისთვის დამღუპველი აღმოჩნდა. დაჭრილთა და დაღუპულთა რიცხვმა 2 მილიონს გადააჭარბა. ირანის მატერიალური ზარალი 216, ერაყის კი, 193 მილიარდ დოლარად შეფასდა. 100 ათასმა ირანელმა დაკარგა საცხოვრებელი და უსახლკარო მაწანწალად იქცა!..

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ADB

მოწვევა წინადადებების წარმოსადგენად

სესხის N და დასახელება:	3524-GEO: შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტი
კონტრაქტის N და დასახელება:	SRIP/CW/ICB-02-Rebid-02: ძირულა - ხარაგაული - მოლითი - ფონა - ჩუმათელეთის შიდასახელ-მწიფოებრივი გზის, მოლითი - ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620 კმ 50+244) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოები
წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა:	თარიღი: **2022 წლის 28 ნოემბერი** დრო: 15:00 სთ ადგილობრივი დროით

1. საქართველომ მიიღო დაფინანსება აზიის განვითარების ბანკისგან (ADB) **შიდასახელ-მწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტის** განხორციელების მიზნით. აღნიშნული სახსრების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოაღნიშნული კონტრაქტის დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნების უფლებამოსილი მონაწილეებისათვის.

2. **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი** („შემსყიდველი“) იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს დალუქული სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად **ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის, მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620-დან 50+244 კმ მდე) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების** შესყიდვის მიზნით. სარეაბილიტაციო სამუშაოების ხანგრძლივობა 730 დღე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არის 87,445,490 ლარი.

3. საერთაშორისო საკონკურსო ტენდერი წარიმართება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი, ერთი კონვერტის პრინციპის სატენდერო პროცედურით და ღიაა ყველა უფლებამოსილი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილესათვის, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაშია აღნიშნული.

4. ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ უფლებამოსილ მონაწილეებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (უნდა იყოს თუ არა მონაწილე ერთობლივი საწარმო, ან როგორ იქნება გამოყენებული ქვემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურად არის მოცემული სატენდერო დოკუმენტაციაში):

მიმდინარე სასამართლო დავები: ყველა მიმდინარე სასამართლო დავა და განხილვები არბიტრაჟში (მათი არსებობის შემთხვევაში) ჩაითვლება ტენდერში მონაწილის წინააღმდეგ გადაწყვეტილად და საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ტენდერში მონაწილის წმინდა მოგების 50 პროცენტს, რაც წარმოადგენს სხვაობას ჯამურ აქტივებსა და ჯამურ ვალდებულებებს შორის.

ფინანსური სიტუაცია:
- ტენდერში მონაწილის გასული წლის წმინდა მოგება უნდა იყოს დადებითი; წმინდა მოგება წარმოადგენს სხვაობას ჯამურ აქტივებსა და ჯამურ ვალდებულებებს შორის;
- მინიმალური საშულო წლიური სამშენებლო ბრუნვა ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს 23,000,000 აშშ დოლარზე ნაკლები. საშუალო ბრუნვა შეადგენს მიმდინარე და დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში მიღებული დადასტურებული გადახდების ჯამს; და
- ტენდერში მონაწილემ უნდა დაადასტუროს რომ მისი თავისუფალი ფინანსურ რესურსები შეადგენს არანაკლებ 4,000,000 აშშ დოლარს, რაც გაანგარიშდება მისი ფინანსური რესურსებისთვის მისი მიმდინარე საკონტრაქტო ფინანსური ვალდებულებების გამოკლების გზით.

საკონტრაქტო გამოცდილება: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არსებული სამუშაოების მსგავსი მინიმუმ ერთი კონტრაქტის წარმატებით ან არსებითად დასრულების გამოცდილება ღირებულებით 15,000,000 აშშ დოლარი. მსგავსება უნდა ეფუძნებოდეს სამუშაოების ფიზიკურ მოცულობას, ხასიათს, სირთულეს, მეთოდებს, ტექნოლოგიას და სხვა მახასიათებლებს, რომლებიც მოცემულია დამკვეთის მოთხოვნებში;

სამშენებლო გამოცდილება შემდეგი სამუშაოები შერულებაში:
ტენდერში მონაწილეს უნდა ჰქონდეს მინიმუმ შემდეგი სამუშაოების შესრულების გამოცდილება:
- 112,000 მ² ასფალტ-ბეტონის საფარიანი გზის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება ნებისმიერ ერთ წელიწადში ბოლო 5 წლის განმავლობაში და
- საგზაო ხიდების მშენებლობის გამოცდილება საერთო ფართობით 2,000 მ² ერთ წელიწადში;

5. შემდგომი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

სალომე წურწუმია
მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. 12
ტელ: (+995 32) 2 37 05 08
ფაქსი: (+995 32) 2 37 66 03
ელ. ფოსტა: info@georoad.ge

6. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ინგლისურ ენაზე გთხოვთ მოგვმართოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@georoad.ge და მოითხოვოთ სატენდერო დოკუმენტაცია **„ძირულა-ხარაგაული-მოლითი-პონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწი-ფოებრივი გზის, მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620-დან 50+244 კმ მდე) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის“**

7. თქვენი სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგინეთ:
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი 12, მე-4 სართული, კანცელარია.
- სატენდერო წინადადებების წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს **2022 წლის 28 ნოემბრის 15:00 საათამდე (თბილისის დრო);**
- სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების გარანტია, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაში არის მოცემული.

8. სატენდერო წინადადებების გახსნა განხორციელდება სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადის გასვლისთანავე **2022 წლის 28 ნოემბრის 15:00 საათზე (თბილისის დრო)** იმ მონაწილეების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ დაესწრონ გახსნის პროცედურას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი 12
მე-3 სართულის საკონფერენციო დარბაზი

INVITATION FOR BIDS

Loan No. and Title:	3524-GEO: Secondary Road Improvement Project
Contract No. and Title:	SRIP/CW/OCB-02-Rebid-02: Remaining Works for Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244
Deadline for Submission of Bids:	Date: **November 28, 2022** Time: 15:00 hours local time

1. Georgia has received financing from the Asian Development Bank toward the cost of Secondary Road Improvement Project. Part of this financing will be used for payments under the Contract named above. Bidding is open to bidders from eligible source countries of the ADB.

2. **The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia** (“the Employer”) invites sealed bids from eligible Bidders for **the Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from km 24+620 to km 50+244.** Construction period is 730 days. The estimated cost of the proposed works is GEL 87,445,490.

3. **International competitive bidding** will be conducted in accordance with ADB’s Single-Stage One Envelope bidding procedure and is open to all Bidders from eligible countries as described in the Bidding Document.

4. Only eligible Bidders with the following key qualifications should participate in this bidding (should a Bidder be a Joint Venture, the way how the below mentioned criteria will be applied is further detailed in the Bidding Documents):

Pending Litigation: All pending litigation and arbitration, if any, shall be treated as resolved against the Bidder and so shall in total not represent more than fifty (50) percent of the Bidder’s net worth calculated as the difference between total assets and total liabilities.

Financial Situation:
- The Bidder’s net worth for the last year calculated as the difference between total assets and total liabilities should be positive;
- Its minimum average annual construction turnover within the last three (3) years must not be less than USD 23,000,000 (Twenty Three Million United States Dollars) calculated as total certified payments received for contracts in progress or completed; and
- Bidder must demonstrate that its financial resources less its financial obligations for its current contract commitments are not less than USD 4,000,000 (Four Million United States Dollars).

Construction Experience:
Participation in at least **one (1) contract** that has been successfully or substantially completed within the last five (5) years and that are similar to the proposed works, where the value of the Bidder’s participation exceeds USD 15,000,000 (Fifteen Million US Dollars). The similarity of the Bidder’s participation shall be based on the physical size, nature of works, complexity, methods, technology or other characteristics as described in the Employer’s Requirements.

Construction experience in the following key activities:
Minimum construction experience in the following key activities:
- Construction/Rehabilitation of at least 112,000 m² road with Asphalt-concrete surface in any one year; and
- Construction of road bridges with a total combined bridge deck area of at least 2,000 m² in one year.

5. To obtain further information and inspect the bidding documents, Bidders should contact:
Ms. Salome Tsurtsumia
Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 2 37 66 03
Email: info@georoad.ge

6. To obtain the bidding documents in English, eligible bidders should send an e-mail to info@georoad.ge requesting the Bidding Documents for **Remaining Works for Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244**

7. Deliver your bid
- to the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia.

Street address: Al. Kazbegi Avenue #12.
Floor/Room number: IV Floor, Chancellery;
- on or before the deadline: Date: **November 28, 2022, 15:00 hours** (local time);
- together with a Bid Security as described in the Bidding Document.

Bids will be opened on **November 28, 2022 15:00 hours** (local time) in the presence of Bidders’ representatives who choose to attend at the address below:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Street address: 12 Al. Kazbegi Avenue
Floor/Room number: III Floor, Conference Hall
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

Asian Development Bank

60 წელი გასულა...

1962 წლის 17 ოქტომბერს ნონა გაფრინდაშვილმა ქართული ჭადრაკის ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონობა იზეიმა

1962 წლის 17 ოქტომბერს ნონა გაფრინდაშვილმა ელიზავეტა ბიკოვასთან ითამაშა და 21 წლის გოგონა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ქართული ჭადრაკის ისტორიაში ეს იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული პირველი ოქროს მედალი. მას შემდეგ ნონამ მსოფლიოს ჩემპიონობა კიდევ ოთხჯერ იზეიმა.

ნონა გაფრინდაშვილის მიერ მოგებული ტიტულები იმდენად ბევრია, რომ დათვლა შეუძლებელია. ნონა დღესაც თამაშობს ვეტერანთა ტურნირებზე და თითქმის ყველგან წარმატებულია.

5 წლის იყო, როდესაც ჭადრაკის თამაში დაიწყო. ოჯახის ერთადერთი ქალიშვილი ხუთ ძმასთან ერთად ჯერ ფეხბურთს თამაშობდა, შემდეგ კი ძმებმა ჭადრაკიც შეასწავლეს. ერთხელ, ზუგდიდის პიონერთა სასახლეში გამართულ შეჯიბრებაზე ნონამ ერთ-ერთი ძმის ნაცვლად იასპარეზა, რომელიც ტურნირს ავადმყოფობის გამო გამოეთიშა და ნონამ მასზე ბევრად ძლიერი მეტოქე მალევე დაამარცხა.

1953 წლის ზაფხულში, ბათუმში გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე ნონა უკვე ზუგდიდის ნაკრების წევრი იყო. სწორედ აქ შენიშნა მისი ტალანტი ლეგენდარულმა მწვრთნელმა ვახტანგ ქარსელაძემ და უკვე 1954 წელს მისი დაჟინებული თხოვნით ნონა სასწავლებლად თბილისში გადაიყვანეს.

ვახტანგ ქარსელაძემ მისთვის ჩვეული ინტუიციის წყალობით, ნონას პარტიის დასრულების შემდეგ ბრძანა:

„შევამჩნიე, რომ მას მახვილი თვალი და პოზიციის შეფასების თავისებური უნარი ჰქონდა“.

1955 წელს ნონამ თბილისის პირველობაზე ვერცხლის მედალი მოიგო. შემდეგ, რიგაში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ პირველობაზე ისახელა თავი. 1956 წელს ქალ მოჭადრაკეთა შორის თბილისის ჩემპიონი გახდა. ამავე წელს ნონამ კარიერაში პირველად, ქალთა შორის საქართველოს ჩემპიონობა იზეიმა. 15 წლის ნონამ აქ 16 პარტია ითამაშა და 15,5 ქულა მოაგროვა. 19 წლის იყო, როდესაც ვრნიაჩკა ბანიაში ჩატარებულ პრეტენდენტთა ტურნირზე პირველობა არავის დაუთმო. აქ მან 16 შესაძლებლობიდან საკუთარ ანგარიშზე 13 ქულა მიითვალა და მისი უშუალო კონკურენტების — ვალენტინა ბორისენკოსა და კირა ზვორიკინას დამარცხება შეძლო.

1962 წელს მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ნონამ ელიზავეტა ბიკოვა ანგარიშით 9:2 დაამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონობა პირველად იზეიმა.



„საქართველოში როგორ დამხვდნენ? — მატარებლით მივდიოდით და სოხუმის შემდეგ თითქმის ყველა სადგურზე გავჩერდით. ამოდიოდნენ ადამიანები და ყვავილებს მჩუქნიდნენ. თბილისის სადგურზე საერთოდ გასაოცარი ამბავი იყო. იმდენი ადამიანი გახლდათ შეკრებილი, რომ მამაჩემმა ფეხსაცმელი დაკარგა“, — იხსენებს ნონა გაფრინდაშვილი.

ზუსტად 60 წლის შემდეგ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში კვლავ ისაუბრეს ნონას ფენომენის შესახებ იქ პირველ მსოფლიოს ჩემპიონობასთან დაკავშირებული საზეიმო მიღება გაიმართა და ასევე შედგა სპეციალურად ამ საიუბილეო თარიღისადმი გამოცემული წიგნის — „დედოფალი“ პრეზენტაცია (ავტორი — ლაშა გოდუაძე).

წიგნი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ჭადრაკის ფედერაციის მხარდაჭერით დაიბეჭდა.

სწორედ ამ თარიღთან დაკავშირებით ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება — 17 ოქტომბერი ქართული ჭადრაკის დღედ გამოცხადდა და მთელი კვირის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში არაერთი ტურნირი გაიმართება.

მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ნონა არის პირველი მოჭადრაკე, რომელიც დაფნის გვირგვინს 16 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა.

ნონა გაფრინდაშვილმა ვაჟთა ჭადრაკშიც სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. ის პირველი ქალი იყო, რომელმაც ვაჟთა ნორმატივიც შეასრულა და საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა.

მან მოახერხა გამარჯვების მოპოვება ტურნირზე ჰოსტინგსში (ინგლისი, 1963-1964), ლონ პეინში გამართულ აშშ-ის ღია პირველობაზე (1977), რეჯო ემილიაში (იტალია, 1983), ვეიკ ან ზეეში (ჰოლანდია, 1987). აშშ-ში გამარჯვების შემდეგ ნონა გაფრინდაშვილი გახდა პირველი ქალი მოჭადრაკე, რომელმაც დიდოსტატის წოდება მიიღო.

ნონა გაფრინდაშვილმა 5-ჯერ მოიგო სსრკ-ის ჩემპიონატი ქალ მოჭადრაკეთა შორის (1964, 1973/74, 1981, 1983, 1985). 10-ჯერ იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი. 1963-1986 წლებში გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადებზე 11 გუნდური და 9 პირადი ოქროს მედალი მოიპოვა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992 წელს მანილას საჭადრაკო ოლიმპიადაზე ნონა გაფრინდაშვილი თანაგუნდელებთან ერთად დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ჩემპიონობას ზეიმობდა. ნონა გაფრინდაშვილი ვეტერანთა შორის მსოფლიოს ჩემპიონია.

1989 წლიდან 1996 წლამდე იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი. იგი დღემდე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტია.

1997 წელს ფიდე-ს 68-ე კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებით, დაწესდა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის გარდამავალი თასი, რომელიც საჭადრაკო ოლიმპიადაზე ქვეყნის ვაჟთა და ქალთა გუნდებს ჯამური საუკეთესო შედეგისთვის გადაეცემათ.

1999 წელს ნონა გაფრინდაშვილი მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველ ქალ სპორტსმენად აღიარეს. 2001 წელს თბილისის ჭადრაკის სასახლეს მისი სახელი მიენიჭა.

◎ აუზში

გაისად - პირველად

სპორტის საწყლოსნო სახეობათა საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, წყალბურთელ ქალ-ვაჟთა ნაკრებებისთვის უწინდელი მსოფლიოს ლიგის ნაცვლად 2023 წლიდან მსოფლიოს თასი გათამაშდება, რომელიც ორი საკვალიფიკაციო და ერთი სუპერფინალისაგან შედგება.

ახალი ფორმატი ორ დონეს მოიცავს: პლანეტის წლევანდელი ვაჟთა ჩემპიონატის 12 საუკეთესო გუნდი (**ამერიკიდან** — აშშ, **აზიიდან** — იაპონია, **ოკეანეთიდან** — ავსტრალია, **ევროპიდან** — ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი, ხორვატეთი, სერბეთი, უნგრეთი, მონტენეგრო, საფრანგეთი, საქართველო) პირველ დივიზიონში ითამაშებენ, ხოლო მეორის კარი ევროპის, ამერიკის, აფრიკისა და ოკეანეთის ნებისმიერი წარმომადგენლისთვის ღია იქნება.

ელიტის ორ ჯგუფში წილისყრით დახარისხებული 12 რჩეული სასტარტო შესარჩევი ტურნირის შემდეგ თითოეულიდან 4-4 უძლიერესს გამოავლენს, მეორე ეშელონის საწყისი რაუნდი კი ოთხივე კონტინენტიდან წამყვან დუეტებს დაასახელებს.

რაც შეეხება დასკვნით აკორდს, მეორე საკვალიფიკაციო ტურნირის შემდეგ პირველი დივიზიონის ექვსი და მეორის ინტერკონტინენტალური პირველობის 2 გამარჯვებული სუპერფინალში მედლებისთვის იბრძოლებენ.

ორივე დივიზიონის შეხვედრათა კალენდარი ასეთი გახლავთ:

პირველი საკვალიფიკაციო ტურნირი — 2023 წლის 18-22 აპრილი.

მეორე საკვალიფიკაციო ტურნირი — 2023 წლის 2-6 მაისი.

სუპერფინალი — 2023 წლის 30 ივნისი — 2 ივლისი.

◎ ევროპის რჩეული

ბენზემას ოქროს ბურთი

მოლოდინი გამართლდა — 2022 წლის ოქროს ბურთი კარიმ ბენზემას გადაეცა. შესაბამისად, France Football-მა ფრანგი წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

ბენზემა გამარჯვების აშკარა ფავორიტი იყო და გასაკვირი ალბათ არავისთვისაა, რომ ყველაზე პრესტიჟული ინდივიდუალური ჯილდო სწორედ „რეალის“ ფორვარდს ერგო.

კარიმს ოქროს ბურთი ზინედინ ზიდანმა გადასცა და კარიმი პირველი ფრანგი ფეხბურთელია სწორედ ზიდანის შემდეგ, რომელმაც ეს ჯილდო მოიგო, ისტორიაში კი მეხუთე ფრანგი იმავე ზიდანის, ჟან-პიერ პაპენის, მიშელ პლატინისა და რაიმონ კოპას შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ მეოცე ადგილს დასჯერდა კრიშტიანუ რონალდუ, ხოლო ლიონელ მესი 30-ეულშიც რომ არ იყო, აქამდეც ცნობილი გახლდათ. ბენზემას შემდეგ ხუთეულში ადგილები სადიო მანემ, კევინ დე ბრუინმა, რობერტ ლევანდოვსკიმ და მოჰამედ სალაჰმა შეავსეს.

2022 წლის საუკეთესო მეკარე — ტიბო კურტუა,

2022 წლის საუკეთესო გუნდი — „მანჩესტერ სიტი“,

სოკრატესის ჯილდო (ქველმოქმედებისთვის) - სადიო მანე

გერდ მიულერის ჯილდო (საუკეთესო თავდამსხმელი) — რობერტ ლევანდოვსკი,

რაიმონ კოპას ჯილდო (საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი) — გავი,

ოქროს ბურთი ქალთა ფეხბურთში — ალექსია პუტელიასი.

მოკლედ

კალათბურთი.

დუდუ დადიანის მემორიალი. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: ქუთაისი — თსუ, კავკასია — რუსთავი.

ფუტსალი.

მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეინ-რაუნდი. ავსტრია — საქართველო 2:6. ჩვენი გუნდი 6 ქულით თავისი ჯგუფის ლიდერია.

ძიუდო.

აბუ-დაბის გრანდ-სლემზე საქართველოს ნაკრები 21-23 ოქტომბერს ასეთი შემადგენლობით იჭიდავებს: სარდალაშვილი, ნოზაძე (60), თუთაშვილი, ნინიაშვილი (66), ტერაშვილი (73), ღვინიაშვილი, მარგიანი (90), სანებლიძე, ბერიაშვილი (100), დემეტრაშვილი (+100); ლიპარტელიანი (57), სომხიშვილი (+78).

ხელბურთი.

18-წლამდელთა ევროპული ზონის გათამაშება. საქართველოს ნაკრებმა ყველა მატჩი მოიგო მთავარი მწვრთნელი — **გიორგი გვაზავა**) — ბულგარეთთან, დიდ ბრიტანეთთან, ალბანეთთან, მასპინძელ კოსოვოსთან და პირველი ადგილი დაიკავა.

სამწუხაროდ, ევრო — 2024-ის შესარჩევი ტურნირის სტარტზე „ჯვაროსნებმა“ ორივე თამაში წააგეს — შვეიცარიაში 23:24 და შინ ფავორიტ უნგრეთთან 24:41. ჩვენს გუნდს **ტიტე კალანდაძე** ავარჯიშებს.

რაგბი.

ევროპის სუპერთასის მოქმედი მფლობელი შავი ლომი მთელ რიგ ტრავმირებულ მოთამაშეთა არყოფნაში ისრაელში თელ-ავივ ჰითთან 18:24 დამარცხდა, თუმცა მეორე ტურნირის ლიდერობას მაინც ინარჩუნებს — 13 ქულა. ჰითი — 10, ბათუმი — 9, ვულვზი — 5 ქულა.

სულთათანა

აკადემიკოს იუზა ვასაძის ხსოვნა



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეხილეობის მიმართულების ეროვნული კოორდინატორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იუზა ვასაძე.

ბატონი იუზა ვასაძე დაიბადა 1935 წლის 27 დეკემბერს ქ. ქუთაისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ქუთაისის №6 საშუალო სკოლა, ხოლო 1959 წელს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა, მევენახეობისა და მებოსტნეობის ფაკულტეტი და მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1956 წელს და 1961 წლამდე მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფკომიტეტის თავმჯდომარედ. იმავე პერიოდში, 1961 წელს დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია.

1963-1967 წლებში მუშაობდა საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის“ სისტემაში ბათუმის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინის, ბოლნისის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინისა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, თბილისის ლიქიორის ქარხნის ტექნოლოგის თანამდებობებზე. 1968 წლიდან ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას. 1968-1982 წლებში მუშაობდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერ-მუშაკის, საწარმოო განყოფილების გამგის, ფერდობების ათვისებისა და აგრომეტეოროლოგიური განყოფილების გამგის თანამდებობებზე, გალავნის ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორად. 1982-1992 წლებში იყო მცხეთის მევენახეობის და საგურამოს ექსპერიმენტული მეურნეობის დირექტორი; 1992-1996 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე; 1994-1996 წლებში რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტის“ მმართველი; 1992-2002 წლებში — საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი ჩრდილოეთ ოსეთში და მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე; 2002-2012 წლებში აგრძელებს მუშაობას მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად, მეხილეობის აგროტექნოლოგიური კვლევის განყოფილების გამგედ, იყო ამავე ინსტიტუტის სადისერტაციო და სამეცნიერო საბჭოების წევრი. 2011 წლიდან ბრძანდებოდა „საქართველოს მევენახეთა, მეღვინეთა და მებაღეთა სამეცნიერო-კვლევითი საწარმოო კავშირის“ პრეზიდენტი.

ბატონმა იუზა ვასაძემ გაიარა მეცნიერის რთული და შრომატევადი გზა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორობამდე, პროფესორობამდე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობამდე — აკადემიკოსობამდე. მის მიერ შესრულებულ სამუშაოებში პირველად საქართველოს პირობებში წარმოდგენილი და გაანალიზებული იყო თესლოვან კულტურათა მრავალმხრივი ექსპერიმენტული და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ამ კულტურათა დასაბუთებული სამეცნიერო მეთოდოლოგიური რეკომენდაციებით, რომელზედაც დამყარებულია საქართველოში ინტენსიური მებაღეობის რაციონალურად გაადგილება მეხილეობის ზონების მიხედვით, მის მიერ გამოვლინებული და აღწერილი იყო 20-ზე მეტი პერსპექტიული თესლოვან კულტურათა ადგილობრივი ჯიში, ასევე პირველად იქნა გამოყენებული საქართველოში ჩატარებული სამუშაოების შესაკრებად, დასამუშავებლად და შესანახად ავტომატიზებული ინფორმაციის სისტემა.

მნიშვნელოვანია ბატონი იუზას დამსახურება ახალგაზრდა თაობისა და სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმეში, მისი ხელმძღვანელობით მომზადებული იყო 16 მეცნიერებათა კანდიდატი და მეცნიერებათა დოქტორი.

აკადემიკოს. ი. ვასაძეს მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნებული ჰქონდა 191 სამეცნიერო შრომა, მათ შორის 2 წიგნი, 30 რეკომენდაცია, ბრძანდებოდა 7 გამოგონებისა და 5 პატენტის ავტორი. მონაწილეობდა მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში. დაჯილდოებული ბრძანდებოდა „საპატიო ნიშნის“ მედლით და ორდენით.

წავიდა ჩვენი რიგებიდან კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ადამიანი და შესანიშნავი პიროვნება. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს. აკადემიკოს იუზა ვასაძის სახელი დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მეგობრებისა და ახლობლების ხსოვნაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია, მისი პრეზიდიუმი თანაუგრძნობს ამავე აკადემიის საპატიო პრეზიდენტს, აკადემიკოს ნათელა ვასაძეს ძმის, სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსის

იუზა ვასაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მადლობა მედიცინის მუშაკებს!

უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო კლინიკა „ევექსის“ მედპერსონალს, მკურნალ ექიმს, ქალბატონ ქეთი ბაბუნაშვილს, კარდიოლოგს, ქალბატონ ცირა ქრისტესიანაშვილს, ექოსკოპიის პროფესიონალს, ქალბატონ ქეთი გოგოლიძეს ჩემი ჯანმრთელობის გულთან მიტანისთვის და სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის.

პატივისცემით: ᲧᲣᲛᲑᲔᲠ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ

ეროვნული ბანკის მორიგი გაფრთხილება!

ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ გახშირდა შემთხვევები, როდესაც მომხმარებლებს სხვადასხვა ვებგვერდზე მათი პირადი ინფორმაციის შევსების სანაცვლოდ, გარკვეული ფულადი თუ სხვა პრიზების მოგების დაპირებით, გათამაშებაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობენ. ამასთან, რამდენიმე შემთხვევაში, გათამაშების შესახებ ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის სახელითაც გავრცელდა. მათ შორის, მომხმარებლებს ამ შეთავაზებების სხვა პირებთან გავრცელებისკენ უბიძგებდნენ. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეროვნული ბანკი არანაირი მსგავსი სახის ონლაინ გათამაშების ორგანიზებას არ ახდენს. გასათვალისწინებელია, რომ პირადი ინფორმაციისა თუ მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში, არსებობს ამ ინფორმაციის მოპოვებით დაინტერესებული პირების მიერ სხვადასხვა თაღლითური ოპერაციის განხორციელების რისკი.

საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინონ ინტერნეტ სივრცეში ფინანსური თუ პირადი მონაცემების მითითებისას, პირველ ყოვლისა, გადაამოწმონ და კარგად დააკვირდნენ ვებგვერდის მისამართს, სადაც შეჰყავთ ინფორმაცია, მოიძიონ აღნიშნული კომპანიის სანდოობისა და საქმიანობის შესახებ მონაცემები, ხოლო თუ კომპანია, ერთი შეხედვით, სანდო და ნაცნობია, გადაამოწმონ შეთავაზების ნამდვილობა.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲘᲬᲝᲓᲔᲑᲗ, ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ:

შემოწმების გარეშე არ გადასცეთ სხვა პირებს პირადი მონაცემები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ფინანსური ოპერაციების უნებართვო განხორციელება.

გადაამოწმეთ ვებგვერდის მისამართი — ფინანსური მომსახურების გამოყენებამდე შეამოწმეთ ის მისამართი, სადაც მონაცემების შეყვანას აპირებთ.

შეაფასეთ ვებგვერდის შიგთავსი (კონტენტი). ყალბი ვებგვერდის შექმნისას დიდი ყურადღება და რესურსი ეთმობა იმას, რომ ის ნამდვილი, ოფიციალური ვებგვერდის მსგავსი იყოს.

უკიდურესი სიფრთხილით მოეკიდეთ სოციალურ ქსელებში არსებულ ფინანსურ შეთავაზებებს.

გადაამოწმეთ ვებგვერდის მფლობელი — WWW.WHO.IS, მომხმარებელს კონკრეტული მისამართის ნამდვილობის გადამოწმება შეუძლია.

გადახდის სანდო წყარო — ნამდვილი ან ოფიციალური ვებგვერდი მომხმარებელს ყოველთვის მოსთხოვს გადახდის განხორციელებას საგადახდო ბარათის ან ოფიციალური პორტალის (მაგ., PayPal) მეშვეობით. დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ საქართველოს ეროვნული ბანკის ცხელ ხაზზე — 032 2 406 406.

გამწვანების პროექტის წარდგენა სავალდებულო იქნება

მᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ნებართვის მიღების მიზნით, გამწვანების პროექტის წარდგენა მთელი ქვეყნის მასშტაბით სავალდებულო გახდება. გამონაკლისს მხოლოდ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები წარმოადგენს. ამას ითვალისწინებს კანონპროექტი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა. კომიტეტის სხდომაზე პარლამენტის წევრმა, მაია ბითაძემ კანონპროექტის არსზე და მიღების აუცილებლობაზე ისაუბრა.

„ეს წესი თბილისის მასშტაბით 2019 წლიდან მოქმედებს და შედეგები უკვე სახეზეა. წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს გამწვანების პროექტის, როგორც სამშენებლო ნებართვის განუყოფელ ნაწილად აღიარებას. კერძოდ, რეგლამენტირებული იქნება, რომ სამშენებლო პროექტს უნდა ახლდეს სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა, ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების დარგვას და მათ შემდგომ მოვლას“, — განაცხადა მაია ბითაძემ. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა ამ დღეებში თავის სხდომაზე „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე კიდევ ერთი კანონპროექტი განიხილა.

გარემოს ეროვნული სააგენტო მოსალოდნელი ამინდის შესახებ გვაფრთხილებს

20-21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოში მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, ზოგან ძლიერი, დასავლეთის მიმართულების ძლიერი ქარი, ზღვაზე შესაძლებელია 3-4 ბალიანი შტორმული ღელვა, — ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

სინოპტიკოსების პროგნოზით, 21 ოქტომბერს მაღალმთიან რეგიონებში ზოგან შესაძლებელია თოვლი. მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექებმა შესაძლებელია საქართველოს მდინარეებზე წყლის დონეების მნიშვნელოვანი მატება, პატარა მდინარეებზე წყალმოვარდნები, ხოლო მთიან ზონებში მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს.

ურთულესი ოპერაცია საქსოფონის აკომპანიმენტით

იტალიელმა ექიმებმა სოციალურ ქსელში გაავრცელეს ვიდეო, რომელზეც ჩანს, როგორ უკრავს კაცი საქსოფონზე ტვინის ოპერაციის მიმდინარეობისას.

რომში მდებარე საავადმყოფოს თანამშრომლები აცხადებენ, რომ 35 წლის კაცს 9-საათიანი ოპერაცია ჩატარდა. ექიმების თქმით, მუსიკალური ნაწარმოებების შესრულება ქირურგებს საშუალებას აძლევდა, ცხადად დაენახათ ტვინის სხვადასხვა უბნის ფუნქციონირება ოპერაციის მსვლელობისას. ქირურგიული ჩარევის მიზანი სიმსივნური წარმონაქმნის ამოკვეთა იყო. ექიმების თქმით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა.



100 წლის ექიმი კვლავ მწყობრშია

100 წლის ამერიკელი კაცი, კლივლენდში მცხოვრები ყველაზე ხანდაზმული პრაქტიკოსი ექიმი, ჰოვარდ ტაკერი აცხადებს, რომ პენსიაზე გასვლას ჯერ არ გეგმავს.

გინესის რეკორდსმენი კაცი სრულ განაკვეთზე მუშაობას აგრძელებს — მისი სამუშაო დღე 9:00 საათზე იწყება და 18:00 საათზე სრულდება. ვიდრე 100 წლის გახდებოდა, ტაკერი კორონავირუსით დაინფიცირდა. ავადმყოფობის დროსაც კი, ის რეზიდენტებს Zoom-ის პლატფორმის მეშვეობით ეკონტაქტებოდა და ასწავლიდა.

ქანდაკება... პურისგან

აშშ-ში, კალიფორნიაში ოჯახურ საცხობში „ვარსკვლავური ომების“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, ჰან სოლოს ქანდაკება პურისგან დაამზადეს.

ქანდაკების სიმაღლე 1,8 მეტრია და მას „ჰან სოლო“ დაარქვეს. ფიგურა ხანალი პერვანმა და მისმა დედამ კეტრინმა შექმნეს. ამისთვის მათ გამოიყენეს ცომი, რომელიც საფუარს არ შეიცავდა. ქანდაკების დასამზადებლად დედა-შვილს 1 თვე დასჭირდათ.

ქანდაკება ასახავს მომენტს ფილმიდან „ვარსკვლავური ომები. ეპიზოდი V: „იმპერიის საპასუხო დარტყმა“, როდესაც სოლოს, რომლის როლსაც ჰარისონ ფორდი ასრულებს, კარბონიტში ყინავენ. ჰან სოლოს ქანდაკება ადგილობრივ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას, გამარჯვების შემთხვევაში კი პერვანების ნამუშევარი ქალაქ ბენისიას მთავარ ქუჩაზე განთავსდება.

საჩუქრად „ერისიონს“

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონს“ საჩუქრად გადასცა 61 ერთეული ტრადიციული სასცენო სამოსი.

კერძოდ, კულტურის სამინისტროს ცნობით, საჩუქრად გადასცა „ოსურის“ მოცეკვავეებისთვის 15 კაბა, „ხევსურულის“ მოცეკვავეებისთვის 28 ჩოხა და მომღერლებისთვის — 18 ჩოხა-ახალუხი. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, „ერისიონის“ ხელმძღვანელები და ანსამბლის წევრები.

„დაახლოებით 15 წელია, სახელმწიფოს ანსამბლებისთვის ახალი სამოსი არ შეუძენია, რის გამოც, კულტურის სამინისტრომ 2021 წლის დეკემბერსა და 2022 წლის ივნისში გამოაცხადა ორი ტენდერი და გამოყო 338 999 ლარი ანსამბლებისთვის საჭირო სასცენო სამოსისა და აქსესუარების შესაძენად. ამ ორი ტენდერით დაფინანსდა 20 ანსამბლი და ორი ფიზიკური პირი. მათგან ხუთი ანსამბლი სამინისტროს სისტემაში საქმიანობს, სხვები კი — დამოუკიდებლად. ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ფაფანაკი“ ეტაპობრივად გადასცემს მათთვის შეკერილ სასცენო სამოსს ანსამბლებს, რომლებიც კულტურის სამინისტრომ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან თანამშრომლობით შეარჩია“, — ნათქვამია კულტურის სამინისტროს ინფორმაციაში.

„ჯაზი და ღვინო“ - კახეთში

კახეთში, წინანდლის მამულში, რიგით მეექვსე ფესტივალი „ჯაზი და ღვინო“ გაიმართა. ფესტივალმა წელს პირველად, სტუმარი ქვეყნის სტატუსით ამერიკა წარადგინა.

ქართული ღვინის მწარმოებლებთან ერთად ღონისძიებას ამერიკელი შეფმზარეული და კალიფორნიელი მეღვინეც დაესწრნენ. მთელი დღის გამავლობაში, ფესტივალის ფარგლებში 3 კონცერტი გაიმართა.

ქართული კერძები - ვაშინგტონში, შეფმზარეულთა კონკურსზე

ვაშინგტონში შეფმზარეულების კონკურსი გაიმართა, რომელშიც ქართველმა შეფმზარეულმა მიიღო მონაწილეობა. ქართულმა კერძებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

სტუმრებმა, ქართული სამზარეულოს კერძებთან ერთად, ქართული ღვინოც დააგემოვნეს.

„ჩვენთვის ამ ღონისძიებაში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობა, რათა ქართული კულტურა, ქართული სამზარეულო არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს, არამედ მსოფლიოს ძალიან ბევრ წარმომადგენელს გაგაცნობთ“, — განაცხადა საქართველოს დესპანმა აშშ-ში ხათუნა კვესელავამ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 20 ოქტომბერს

3D პრინტერით დაბეჭდილ ხორცს მალე დაპაგემოვნებთ



თანამედროვე ტექნოლოგიები და ნოვატორი მეცნიერები დღითი დღე განაგრძობენ ჩვენს გაოცებას. მალე ევროპაში სტეიკს 3D პრინტერზე ამობეჭდავენ. საუბარია მცენარეული ინგრედიენტებით, ლაბორატორიაში შექმნილ ხორცზე, რომელსაც 3D პრინტერი ამობეჭდავს.

ახალი თაობის ხორცის სტეიკის ევროპაში დისტრიბუციისთვის, ისრაელში დაფუძნებულმა კომპანია Redefine Meat-მა იმპორტიორ Giraudi Meat -თან დაკონტრაქტდა. სტარტაპის მიზანია, ახალი პროდუქტი ისევე დამკვიდრდეს მომხმარებლებში, როგორც ტრადიციულად წარმოებული ნატურალური ხორცი და მისი ალტერნატივა გახდეს. ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

კომპანია 3D სტეიკს სოიოს და ბარდის პროტეინებისგან ამზადებს. ამ ინგრედიენტებს ემატება წიწიბურა, ჭარხალი, საფუარი და ქოქოსის ცხიმი. შედეგად, მიიღება საკვებად ვარგისი, რბილი ხორცი. კომპანიაში წარმოებული 3D სტეიკები ამჟამად ისრაელში, ბრიტანეთში, ნიდერლანდებსა და გერმანიაში იყიდება და მისი ფასი საკმაოდ ძვირია. 1 კილოგრამი სტეიკის ნაჭერი 40 დოლარი ღირს. ბოლო დროს, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა უკრაინა-რუსეთის ომმა, ინფლაციამ, მასზე მოთხოვნა შედარებით შეამცირა, თუმცა კომპანია Redefine Meat-ს დიდი ამბიციები აქვს.

ნიანგის პალტოს მგზავრობა ბიზნეს კლასით...

მსოფლიო მოდის ერთ-ერთი მესაჭე, ჩვენებური დემნა გვასალია რომ თავისი ექსტრავაგანტურობით რომ გამოირჩევა ყველამ კარგად ვიცით.

დემნა ერთ-ერთ ინტერვიუში ყვება მის მიერ შექმნილი ყველაზე ძვირადღირებული ტანისამოსის ამბავს. როგორც გაირკვა ,ეს 2014 წელს ლუი ვიტონის ზამთრის კოლექციისთვის შექმნილი ნიანგის პალტო აღმოჩნდა.

„ბიზნეს კლასით ჩემს პირველ ფრენას ამ ნიანგის პალტოს უნდა ვუმადლოდე. მისი დაკეცვა არ შეგვეძლო, ამიტომ პალტოს საკუთარი ბილეთი, სწორედ რომ ბიზნეს კლასში ჰქონდა“. — იუმორით აღნიშნა დიზაინერმა. რას გაუგებ ამ უცნაურ მოდას, პალტოს ადამიანზე მეტი ფასი რომ აქვს... ხანდახან...

რუსუდან ქოგულია

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7645; ევრო - 2.6946
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1120;
100 რუბლი - 4.4583; თურქული ლირა - 0.1492;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6307;
1000 სომხური დრამი - 6.8756.

ამინდი 19 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+16
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+11,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+6	დღე	+25
თბილისი:	ღამე	+12,	დღე	+19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge